პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 38 (10124) | სამშაბათი, 15 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

## სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ლიუ შაო-ცის

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

პეკინი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავის გამო გულითად მოლოცვას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო და თქვენი სახით დიდ ჩინელ ხალხსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან განვლილი ხუთი წელი მოწმობს, რომ განუხრელად ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომლებიც ემყარება თანასწორუფლებიანობის, ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემის და ურთიერთისათვის ყოველმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერისადმი მისწრაფების პრინციპებს.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა და ძმური ურთიერთდახმარება, რაც დღითიდღე იზრდება, თვალსაჩინო როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ეკონომიური განვითარებისა და კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, მშვიდობისა და უშიშროებისათვის მათს ერთობლივ ბრძოლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა აგრესიული წრეები ცდილობენ გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება, განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში. ეს მეგობრობა საიმედოდ იცავს ჩვენი ხალხების მშვიდობიან შრომას, წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დასაყრდენს.

გისურვებთ თქვენ და მთელ ჩინელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ახალი, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს სსრ კავშირისა და ჩინეთის მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საიმედო დასაყრდენია!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი.
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მოლოტოვი.

მოსკოვი, 1955 წ. 13 თებერვალი.

---

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-5 წლისთავის გამო ნება გვიბოძეთ ჩინელი ხალხისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხურვალე მოლოცვა გიძღვნათ თქვენ და თქვენი სახით დიდ საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას.

გავლილ 5 წელიწადში ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ფართოდ განვითარდა ყოველმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა. საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი ყოველმხრივ სისტემატურ და ღრმად მოფიქრებულ დახმარებას უწევენ ჩინელ ხალხს, რომელიც ახლა სოციალისტურ მშენებლობას ეწევა. საბჭოთა მთავრობა ჩინეთს დახმარებას უწევს 156 დიდი სამრეწველო საწარმოს მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში და უგზავნის საუკეთესო სპეციალისტთა დიდ ჯგუფებს, რათა დაეხმაროს ჩინეთს მშენებლობაში. მას არაერთხელ მიუცია ჩინეთისათვის შეღავათიანი კრედიტი, უსასყიდლოდ გადასცა ჩინეთს ქონება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზისა, რომელსაც ჩინეთი და საბჭოთა კავშირი ერთობლივად განაგებდნენ, აგრეთვე ქონება, რომელიც საბჭოთა ორგანიზაციებმა შეიძინეს იაპონელ მესაკუთრეთაგან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში 1945 წელს, გადასცა ღირებულების ანაზღაურებით ჩინეთ-საბჭოთა შერეულ საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა წილი, აგრეთვე გადაწყვიტა ჩინეთის სრულ განკარგულებაში გადასცეს სამხედრო-საზღვაო ბაზა პორტ-არტური, რომელსაც ჩინეთი და საბჭოთა კავშირი ერთობლივად იყენებენ, და ნაგებობანი ამ რაიონში, ამას წინათ შესთავაზა ჩინეთს სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო დახმარება მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოსაყენებლად კვლევის განვითარების საქმეში.

ასეთმა მეგობრულმა თანამშრომლობამ და გულწრფელმა დახმარებამ მნიშვნელოვნად წასწია წინ ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის განვითარების საქმე და ამით დაანახვა მთელ მსოფლიოს, თუ რა დიდი სასიცოცხლო ძალა აქვს ახალი ტიპის ასეთ საერთაშორისო ურთიერთობას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას და ჩინელ ხალხს ღრმად აქვთ შეგნებული, თუ რა უსაზღვროდ ძვირფასია ასეთი ძმური მეგობრობა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინელი ხალხის სახელით გულითად მადლობას გიძღვნით საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა ხალხს მათი დიდი დახმარებისათვის.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული კავშირის განმტკიცება და განვითარება განუზომელ გავლენას ახდენს ჩვენი ორი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფაზე და შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაზე.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკამ ხელი შეუწყო და დაეხმარა კორეაში დაზავების განხორციელებას და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენას, რამაც გამოიწვია საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელება და აღაფრთოვანა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა და ხალხი. ჩინელი ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის ბრძოლას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს სურთ ნორმალური ურთიერთობა დაამყარონ იაპონიასთან და აქტიური დახმარება გაუწიონ იაპონელ ხალხს მის წინსვლაში დამოუკიდებელი განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის გულწრფელი თანამშრომლობა შეესაბამება არა მარტო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესებს, არამედ აგრეთვე აზიის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. იგი შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საიმედო გარანტიაა.

შეერთებული შტატების აგრესიული წრეები და მათი მიმდევრები ყველგან ახორციელებენ ომის პოლიტიკას და ქმნიან საერთაშორისო დაძაბულობას. ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედება და საომარი პროვოკაციები, რომლებსაც ახლა შეერთებული შტატები ახორციელებენ ტაივანის რაიონში, სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ჩინეთის უშიშროებას, რასაც სამართლიანად გმობენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნები და ხალხები.

ჩინელი ხალხის ბრძოლა თავისი ტერიტორიის — ტაივანის განთავისუფლებისათვის სამართლიანი ბრძოლაა. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს სამართლიან საქმეს.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული კავშირი ახალი საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებაში აუცილებლად სულ უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აგრესიისადმი წინააღმდეგობის გაწევისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება არის დიადი სამშვიდობო ხელშეკრულება, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობის სიმბოლო. უკანასკნელი 5 წლის მოვლენები ცხადყოფენ ამ ხელშეკრულების დიდ როლს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმისათვის ხელის შეწყობაში. შემდეგში ცხოვრება და პრაქტიკა კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებენ ამ ხელშეკრულების უდიდეს ძალასა და უქრობ ბრწყინვალებას.

დაე დღითიდღე ვითარდებოდეს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო აყვავებისა და შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობას!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი.
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი.

პეკინი, 1955 წ. 12 თებერვალი.

---

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1955 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის წევრი ამხანაგი გიორგი ივანეს-ძე ელისაბედაშვილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გიორგი ივანეს-ძე ელისაბედაშვილის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

---

# ნ. ა. ბულგანინის საუბარი

## ამერიკელ ჟურნალისტებთან ვ. რ. ჰერსტთან, ჯ. კინგსბერი სმიტთან და ფ. კონიფთან 1955 წლის 12 თებერვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კინგსბერი სმიტი** ამბობს, რომ იგი და მისი კომპანიონები ფრიად მადლიერი არიან, რომ მათ შესაძლებლობა მიეცათ შეხვედროდნენ და ესაუბრათ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან, აგრეთვე საბჭოთა კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან. კერძოდ, ისინი დიდ მადლობას უძღვნიან ნ. ა. ბულგანინს, რომ შესაძლებლად მიიჩნია მიეღო ისინი. ცნობა მასთან შესაძლებელი შეხვედრის შესახებ მათ მიიღეს აეროდრომზე ლენინგრადში.

ესწრებოდნენ რა უმაღლესი საბჭოს სესიას, ჰერსტმა და მისმა კომპანიონებმა, განაგრძობს კინგსბერი სმიტი, ყურადღება მიაქციეს ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირმა ახლა უკან მოიტოვა ამერიკის შეერთებული შტატები წყალბადის იარაღის წარმოებაში. მათ აგრეთვე აღნიშნეს განცხადებანი, რომლებიც საბჭოთა მოღვაწეებმა გააკეთეს როგორც მათთან საუბრებში, ისე უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომ საბჭოთა მთავრობას სურს ბოლო მოუღოს გამალებულ შეიარაღებას. ყველა მათგანისათვის ცნობილია თვალსაზრისი, რომელიც მომდინარეობს მეცნიერთა წრეებიდან, განსაკუთრებით დასავლეთში, იმ საფრთხის შესახებ, რასაც კაცობრიობისათვის წარმოადგენს ექსპერიმენტული მიზნით ატომური იარაღის განუსაზღვრელი აფეთქებანი, რაც გრძელდება. ამასთან დაკავშირებით ჰერსტს სურს გამოთქვას ერთი წინადადება.

**ნ. ა. ბულგანინი** შენიშნავს, რომ იგი ინტერესით მოუსმენს ჰერსტს.

**ჰერსტი** მადლობას უძღვნის ნ. ა. ბულგანინს და რწმენას გამოთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ხალხი იზიარებენ მისწრაფებას მშვიდობისადმი, რომელზეც საბჭოთა მთავრობაც ლაპარაკობს.

რადგან თერმგულის იარაღის აფეთქებანი ექსპერიმენტული მიზნით საფრთხეს უქმნიან მთელ კაცობრიობას, მას, ჰერსტს, სურს ჰკითხოს, იქნება თუ არა მზად საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ ატომური იარაღის აკრძალვამდე დადოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმება, რომელიც შეზღუდავს ექსპერიმენტული მიზნით წარმოებულ აფეთქებათა რაოდენობას. ასეთი შეთანხმება არ მოითხოვს კონტროლის სისტემის დაწესებას, რამდენადაც როგორც ერთი, ისე მეორე მხარე მაშინვე შეიტყობს ასეთი შეთანხმების ყოველ დარღვევას.

მისი, ჰერსტის, აზრით ეს, შესაძლოა, ერთადერთი გზაა, რომ დაიწყოს განიარაღება ატომური იარაღის დარგში.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ ამ საკითხში საჭიროა უფრო რადიკალური გზა, ის გზა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა. საბჭოთა მთავრობის წინადადებაა მთლიანად აიკრძალოს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი, შეწყდეს ამ სახეობათა იარაღის წარმოება, აგრეთვე ამოღებულ იქნას სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ის, რაც უკვე წარმოებული იყო ამ დარგში.

პრაქტიკულად წინადადება გამოცდის შეზღუდვის შესახებ არაფერს არ იძლევა. მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ ორივე მხარის საწყობებში არის უკვე მზა და გამოცდილი ბომბები. ამიტომ შეთანხმება ექსპერიმენტული მიზნით აფეთქებათა შეზღუდვის შესახებ ვერავის ვერ დაამშვიდებს. შეიძლება გვითხრან, რომ ექსპერიმენტული მიზნით შემდგომ აფეთქებათა შეწყვეტის საკითხი ახლა იმიტომ ისმება, რომ უკვე დაგროვებულია მასობრივი მოსპობის საშუალებათა საკმაო მარაგი. ეს ვერ გამოიწვევს დამშვიდებას.

საბჭოთა მთავრობა საკითხს აყენებდა და აყენებს უფრო რადიკალურად. მისი წინადადებაა აიკრძალოს მასობრივი მოსპობის საშუალებათა წარმოება, შენახვა და გამოყენება. სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ და ვეცადოთ შეთანხმების მიღწევას.

**კინგსბერი სმიტი** ამბობს, რომ მას სურს დააზუსტოს ჰერსტის წინადადება. საქმე ეხება ექსპერიმენტული მიზნით, აფეთქებათა არა სრულ შეწყვეტას, არამედ ასეთ აფეთქებათა რაოდენობის შეზღუდვას. შესაძლოა საბჭოთა კავშირი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები მზად არ იყვნენ ამჟამად სრულიად შეწყვიტონ ექსპერიმენტული აფეთქებანი. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მეცნიერთა გაფრთხილებას იმ საფრთხის შესახებ, რასაც შეიცავენ განუსაზღვრელი აფეთქებანი, შესაძლებლად ხომ არ მიიჩნევს საბჭოთა კავშირი, მასობრივი მოსპობის საშუალებათა ევენტუალური აკრძალვის პირველი ნაბიჯის სახით, დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმების საფუძველზე შეზღუდოს ექსპერიმენტულ აფეთქებათა რაოდენობა წელიწადში ხუთი, ათი ან თხუთმეტი აფეთქებით. თუ საბჭოთა მთავრობა არ მოისურვებს წავიდეს ამ გზით, ამან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი იმედგაცრუება.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განიხილოს ყოველი წინადადება, რომლის მიზანია მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენების საშიშროების აღმოფხვრა, თუ ეს წინადადებანი ნამდვილად ასეთ მიზანს ისახავენ.

**ჰერსტი** ამბობს, რომ გუშინ საღამოს იგი ელაპარაკა თავის ბიუროს ნიუიორკში და მას აცნობეს, რომ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ნ. ა. ბულგანინისა და ვ. მ. მოლოტოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს განიხილავენ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრების შემცველს, და რომ ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოთქვამენ სხვადასხვა ვარაუდს, ხომ არ მოასწავებს საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის შეცვლა იმას, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს უფრო ანტაგონისტური პოზიცია დაიკავოს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.

ამასთან დაკავშირებით მას, ჰერსტს, სურს ჰკითხოს, მიაჩნია თუ არა ნ. ა. ბულგანინს, რომ ხელმძღვანელობის შეცვლა ნიშნავს საბჭოთა კავშირის პოზიციის შეცვლას ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ არა, არ ნიშნავს.

**ჰერსტი და კინგსბერი სმიტი** შენიშნავენ, რომ მათ ახარებს ამის მოსმენა.

**კონიფი** ამბობს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა გასულ კვირაში მათთან საუბრის დროს განაცხადა, უსამართლობაა ამხედრონ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი სსრ კავშირის წინააღმდეგ და ეცადონ შექმნან შთაბეჭდილება, რომ სსრ კავშირს ომი სურს. ამავე დროს უმაღლესი საბჭოს სესიაზე ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლიდან შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს თავის მხრივ სურთ ომი. ამერიკელი ხალხი გარდუვალად მიიჩნევს, რომ ასეთი შთაბეჭდილების შექმნის ცდებიც უსამართლოა.

მიაჩნია თუ არა ნ. ა. ბულგანინს ამასთან დაკავშირებით, რომ მშვიდობის განმტკიცებისათვის სასარგებლო იქნება, რომ საბჭოთა ოფიციალურმა პირებმა თავი შეიკავონ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ გალაშქრებისაგან და ამერიკის ოფიციალურმა პირებმა სსრ კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებისაგან.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ, მისი აზრით, ეს სასარგებლო იქნება. რაც შეეხება ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას, რომელსაც კონიფი იმოწმებს, იგი ფაქტების, სწორედ ფაქტების, სავსებით ობიექტური შეფასებაა და სავსებით ასახავს საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისს.

**კინგსბერი სმიტი** შენიშნავს, რომ თავის სიტყვაში მოლოტოვმა არაერთხელ მოიხსენია ამერიკის მთავრობის აგრესიული განზრახვები და გვაგრძნობინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ომს ამზადებენ. ამერიკელი ხალხი კი დარწმუნებულია, რომ მის მთავრობას არავითარი აგრესიული განზრახვები არა აქვს. ამერიკელმა ხალხმა იცის, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავი შეიკავა მოქმედებისაგან ინდოჩინეთის რაიონში, აგრეთვე ფორმოზის რაიონში მოქმედებისაგან, რომელსაც შეეძლო ფართო კონფლიქტი გამოეწვია. როცა ამერიკელები საბჭოთა ოფიციალური პირების ასეთ განცხადებებს კითხულობენ, მათ ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა მთავრობას ან სწორი წარმოდგენა არა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციაზე, ან განზრახ სურს აამხედროს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ სხვა ქვეყნები. ეს ბუნებრივია, აძლიერებს ამერიკელი ხალხის შეშფოთებას და განუმტკიცებს რწმენას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა ჰქონდეთ სამხედრო ბაზები.

მისთვის, კინგსბერი სმიტისათვის, სავსებით ნათელი არ არის, როგორ შეიძლება შევათავსოთ ეს გალაშქრებანი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგ იმ განცხადებებთან, რომლებიც საბჭოთა ოფიციალურმა პირებმა გააკეთეს მათთან საუბარში, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომ საბჭოთა მთავრობას სურს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესება.

**ნ. ა. ბულგანინი** აღნიშნავს, რომ საბჭოთა წარმომადგენლების განცხადებანი იმის შესახებ, რომ სურთ კარგი, ნორმალური ურთიერთობა დაამყარონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან, სავსებით გულწრფელია. მე სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღვნიშნე, რომ, კერძოდ, ომის დროს ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, აგრეთვე საფრანგეთთან, რომელიც შეუერთდა ამ დაჯგუფებას უფრო გვიან, და ჩვენ სავსებით კმაყოფილი ვიქნებოდით, ახლა რომ ეს ურთიერთობა აღდგენილი იყოს. როგორც ვ. მ. მოლოტოვი, ისე იგიც, ბულგანინი, თავიანთ გამოსვლებში უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამბობდნენ, რომ საბჭოთა მთავრობას სურს ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვითარებაში მთელი ახლანდელი დაძაბულობის შენელებას. საბჭოთა მთავრობას მართლაც სურს ეს, და იგი, ბულგანინი, ფიქრობს, რომ იგივე სურს მსოფლიოს ყველა ხალხს.

კინგსბერი სმიტი ამბობდა, რომ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება გარკვეულ განწყობილებას იწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ეს განწყობილება გამოწვეულია არასწორი ინფორმაციით მოხსენების შესახებ, განზრახ, რათა გაამართლონ საბჭოთა კავშირის გარშემო და მისი საზღვრების ახლოს ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნა. ამასთან ცნობილია, რომ ეს სამხედრო ბაზები შეიქმნა დიდი ხნით ადრე მოლოტოვისა და ბულგანინის გამოსვლებამდე. ამ ბაზების შექმნას არავითარი კავშირი არა აქვს საბჭოთა მოღვაწეების მიერ გამოთქმულ აზრებთან.

**კინგსბერი სმიტი** მადლობას უძღვნის ნ. ა. ბულგანინს განმარტებისათვის.

**ჰერსტი** ამბობს, რომ დღეს, 12 თებერვალს, ამერიკელი ხალხის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო ხელმძღვანელის და შეიძლება ითქვას სულიერი ხელმძღვანელის — აბრაამ ლინკოლნის დაბადების წლისთავია. თავის სიტყვაში ბრძოლის ველზე გეტისბერგში ლინკოლნმა თქვა: ხალხის მთავრობა, არჩეული ხალხის მიერ და ხალხისათვის, არასოდეს არ უნდა გაქრეს პირისაგან მიწისა.

ჰერსტი ეკითხება, ხომ არა სურს ნ. ა. ბულგანინს რომ, კომენტარი გაუკეთოს ლინკოლნის ამ სიტყვებს.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ ეს კარგი ციტატაა, დიდი ადამიანის გონივრული განცხადებაა.

**ჰერსტი** ეკითხება, იცნობდა თუ არა ნ. ა. ბულგანინი წინათ ამ ციტატს.

**ნ. ა. ბულგანინი** უარყოფით უპასუხებს.

**კინგსბერი სმიტი** ნებას სთხოვს მისცეს შეკითხვა, რომელიც შეეხება საბჭოთა სახელმწიფოს მართვის მექანიკას. მისთვის და მისი კომპანიონებისათვის სავსებით ნათელი არ არის, თუ როდის და რა სახით იყო თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უფრო გვიან უმაღლეს საბჭოს წარედგინა, რომ ნება დაერთოს გ. მ. მალენკოვს გადადგეს და ახალ პრემიერ-მინისტრად დაინიშნოს ნ. ა. ბულგანინი. სწორი იქნება თუ არა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება თავდაპირველად მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ხოლო შემდეგ განსახილველად წარედგინა უმაღლეს საბჭოს.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ, როგორც ცნობილია პრესიდან, უმაღლესი საბჭოს განსახილველად ცენტრალური კომიტეტისა და უხუცესთა საბჭოს სახელით შეიტანა დეპუტატმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ჩვენს ქვეყანაში არსებობს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი.

**კინგსბერი სმიტი** ეკითხება, სწორია თუ არა, რომ გ. მ. მალენკოვის გადადგომის წესი და ახალ პრემიერ-მინისტრად ნ. ა. ბულგანინის დანიშვნა მოასწავებს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის შენარჩუნებას.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს: უთუოდ მოასწავებს, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი ჩვენში ურყევია.

**კინგსბერი სმიტი** ამბობს, რომ პრესის ცნობებიდან ნათელი არ არის, რჩება თუ არა გ. მ. მალენკოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად, და ეკითხება, ასეა თუ არა ეს.

**ნ. ა. ბულგანინი** დადებით პასუხს აძლევს.

**კონიფი** ამბობს, დასავლეთში ჯერ კიდევ სჭარბობს აზრი, რომ საბჭოთა მთავრობის საბოლოო მიზანია კომუნისტური გავლენის ბატონობა დაამყაროს მთელ მსოფლიოში. კონიფი სთხოვს ნ. ა. ბულგანინს გამოთქვას თავისი აზრი ამის თაობაზე.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ ჰერსტს, კინგსბერი სმიტსა და კონიფს უკვე ჰქონდათ ვრცელი საუბარი ამ თემაზე ნ. ს. ხრუშჩოვთან, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა კონიფის კითხვაზე. ეს პასუხი პრესაში გამოქვეყნდა. იგი, ბულგანინი, ვერაფერს ვერ დაუმატებს ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამს.

**კონიფი** მადლობას უძღვნის ნ. ა. ბულგანინს პასუხისათვის და შემდეგ ეუბნება, რომ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის შეცვლამ, ბუნებრივია, დასავლეთში ბევრი მოსაზრება გამოიწვია იმის შესახებ, რომ შესაძლოა გაძლიერდეს სამხედრო გავლენა.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ. ა. ბულგანინის საუბარი

## ამერიკელ ჟურნალისტებთან ვ. რ. ჰერსტთან, ჯ. კინგსბერი სმიტთან და ფ. კონიფთან 1955 წლის 12 თებერვალს

(დასასრული).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა მარშალი ბულგანინი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ხოლო მარშალი ჟუკოვი — თავდაცვის მინისტრად.

კონიფი ეკითხება ნ. ა. ბულგანინს, განზრახული აქვს თუ არა საბჭოთა მთავრობას, რომ თავისი პოლიტიკის განხორციელებაში ახლა სამხედრო ხელმძღვანელთა გამოცდილებას უფრო ეყრდნობოდეს.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ მან, ბულგანინმა, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა საკმაოდ დაწვრილებით გააშუქა უმაღლესი საბჭოს სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში და რომ, მისი აზრით, ამ სიტყვაში შეიძლება ამომწურავი პასუხის მიღება კონიფის მიერ დასმულ კითხვაზე.

**კინგსბერი სმიტი** ამბობს, რომ დასავლეთში გაბატონებულია აზრი, რომ მტკიცე მშვიდობის მიღწევის საშუალებაა განიარაღება, ხოლო განიარაღების მიღწევის საშუალებაა საერთაშორისო კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნა და ინსპექცია მუდმივ საფუძველზე ყველა სახეობის იარაღის, მათ შორის ატომური იარაღის მიმართ.

კინგსბერი სმიტი სთხოვს ნ. ა. ბულგანინს უპასუხოს, როგორ აფასებს იგი ასეთი შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ საბჭოთა მთავრობამ შეიტანა თავისი წინადადებანი ამ საკითხზე. საბჭოთა მთავრობა ემხრობა განიარაღებას, ატომური იარაღის გამოყენების, წარმოებისა და შენახვის აკრძალვას. საბჭოთა მთავრობა ემხრობა აგრეთვე კონტროლს. საბჭოთა წინადადებანი ამ საკითხებზე ჩამოყალიბებულია დოკუმენტებში, რომლებსაც ჯერ კიდევ განიხილავენ სათანადო საერთაშორისო ორგანოები.

**კონიფი** ამბობს, რომ საუბრის დროს, რომელიც ჰერსტსა და მის კომპანიონებს ჰქონდათ თავიანთ ბიუროსთან ნიუ-იორკში, მათი ყურადღება მიიქციეს იმას, რომ ამერიკაში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მკვახე კილომ, რომელიც აღებული იყო უმაღლესი საბჭოს სესიაზე. მას, კონიფს, სურს იკითხოს, არის თუ არა რაიმე, რაც მათ, როგორც ჟურნალისტებს, შეუძლიათ გააკეთონ ამ შეშფოთების შესამცირებლად.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ ჰერსტს, კინგსბერი სმიტსა და კონიფს შეუძლიათ პრესის ან სხვა საშუალებით, რომელსაც ისინი შესაძლებლად მიიჩნევენ განაცხადონ, რომ საბჭოთა მთავრობა გულწრფელად ისწრაფვის შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, ესწრაფვის ხალხთა შორის მშვიდობას, რომ მისი სურვილია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. იმის სწორი გადაცემა და ობიექტური გაშუქება, რაც მათ საბჭოთა კავშირში შეიტყეს, სასარგებლო იქნებოდა, რადგან როგორც ჟურნალისტებს და განსაკუთრებით ისეთ ჟურნალისტებს, რომლებსაც იგი, ბულგანინი, დღეს ესაუბრება, დიდი გავლენა აქვთ.

**ჰერსტი** შენიშნავს, რომ იგი მეორე თაობის ჟურნალისტების წარმომადგენელია და სავსებით აქვს შეგნებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჟურნალისტებს აკისრიათ.

**კონიფი** ნებას ითხოვს, რომ მისცეს ამერიკული სტილის კითხვა, რომელიც ეხება პირადად ნ. ა. ბულგანინს. იგი ეკითხება, ხომ არ იქნება ნ. ა. ბულგანინი ასეთი კითხვის წინააღმდეგი.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ ეს დამოკიდებულია კითხვაზე.

**კონიფი** ეკითხება, რა გრძნობა განიცადა ნ. ა. ბულგანინმა, როცა მას დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა ისეთი დიდი ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, როგორი იყო მისი პირადი რეაგირება, როცა შეიტყო ახალი დანიშვნა.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც გრძნობენ თავს ადამიანები ასეთ შემთხვევებში.

**კინგსბერი სმიტი** დიდ მადლობას უძღვნის ნ. ა. ბულგანინს იმისათვის, რომ მან გამონახა დრო, რათა მიეღო ისინი და ეპასუხნა მათ კითხვებზე.

**ჰერსტი** ამბობს, რომ მას და მის კომპანიონებს მიეცათ ისეთი შესაძლებლობა, როგორიც ძალიან ცოტა ვისმე მისცემია, სახელდობრ შეხვედროდნენ და ესაუბრნათ არა ერთ ან ორ, არამედ ოთხ გამოჩენილ საბჭოთა ხელმძღვანელთან. იგი, ჰერსტი, დარწმუნებულია, რომ ისეთმა ჭკვიანმა ადამიანებმა, რომლებსაც იგი შეხვდა მოსკოვში, კეთილი განზრახვების ადამიანებმა, რომლებიც მშვიდობიან მიზნებს ისახავენ, უნდა ჰპოვონ და აუცილებლადაც ჰპოვებენ მშვიდობის გზას.

**ნ. ა. ბულგანინი** მადლობას უძღვნის ჰერსტს მისი სიტყვებისთვის.

დასასრულ **კინგსბერი სმიტი** ამბობს, რომ ორშაბათს ჰერსტი ლონდონში უნდა შეხვდეს ჩერჩილს და ეკითხება, ხომ არა სურს ნ. ა. ბულგანინს გადასცეს რაიმე ჩერჩილს არაოფიციალურად.

ამასთან კინგსბერი სმიტი აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინის ნათქვამი პრესაში არ გამოქვეყნდება.

**ნ. ა. ბულგანინი** უპასუხებს, რომ მას არაფერი აქვს გადასაცემი.

**საუბარი ჩაწერა ოლ. ტროიანოვსკიმ.**

# საბჭოთა კავშირის მარშლის გ. კ. ჟუკოვის საუბარი

## ამერიკელ ჟურნალისტებთან ვ. რ. ჰერსტთან, კინგსბერი სმიტთან და ფ. კონიფთან 1955 წლის 7 თებერვალს

ურთიერთ მისალმების შემდეგ კინგსბერი სმიტმა აღნიშნა, რომ იგი დაესწრო მარშალ ჟუკოვისათვის გენერალ ეიზენჰაუერის მიერ ამერიკის ორდენის გადაცემას ქალაქ მაინის ფრანკფურტში. გ. კ. ჟუკოვმა თქვა, რომ იგი კმაყოფილებით იგონებს გენერალ ეიზენჰაუერთან შეხვედრებს.

მერე გაიმართა შემდეგი საუბარი:

**ჰერსტი** — მე გავიგე, რომ გენერალმა ეიზენჰაუერმა მიგიწვიათ გამგზავრებულიყავით შეერთებულ შტატებში.

**გ. კ. ჟუკოვი** — დიახ, გენერალმა ეიზენჰაუერმა ორჯერ მიმიწვია გავმგზავრებულიყავი შეერთებულ შტატებში, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ხანებში ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობამ და გადაუდებელმა საქმეებმა საშუალება არ მომცა მომეხდინა ეს მოგზაურობა.

**ჰერსტი** — ყოფილხართ თუ არა ინგლისში და საფრანგეთში?

**გ. კ. ჟუკოვი** — არა, ინგლისსა და საფრანგეთში არ ვყოფილვარ. ჩინეთსა და კორეაშიც არ ვყოფილვარ. ამერიკული პრესა წერდა, რომ მე იქ ვიყავი. **(საერთო სიცილი).**

**კინგსბერი სმიტი** — დათანხმდებოდით თუ არა ახლა გამგზავრებულიყავით შეერთებულ შტატებში, პრეზიდენტ ეიზენჰაუერს რომ მიეწვიეთ?

**გ. კ. ჟუკოვი** — ჯერჯერობით არავითარი მიწვევა არ მიმიღია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობა ხელს არ უწყობს ასეთ გამგზავრებას ამჟამად. ამერიკელი და საბჭოთა ხალხებისათვის გაუგებარი იქნებოდა, სსრ კავშირსა და ამერიკას შორის არსებული ურთიერთობის პირობებში მარშალი ჟუკოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ გამგზავრებულიყო. ჩემი გულწრფელი სურვილია ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესება. მე მსურს ვინახულო შეერთებული შტატები და ურთიერთობის გაუმჯობესებისას სიამოვნებით ვიზამდი ამას.

**ჰერსტი** — ისევე, როგორც თქვენ, ჩვენც გულწრფელად გვსურს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესება. ეს არის მთავარი, რისთვისაც აქ ჩამოვედით.

**კინგსბერი სმიტი** — ამერიკელმა ხალხმა არაფერი არ იცის საბჭოთა არმიაზე მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა. რას ფიქრობთ თქვენ ურთიერთგაგების გაუმჯობესებისათვის სამხედრო მისიების რეგულარული გაცვლის მოწყობაზე?

**გ. კ. ჟუკოვი** — იმისათვის, რომ სწორად გავუგოთ ერთმანეთს, საჭიროა, პირველ რიგში, შევქმნათ ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის. მარტო სამხედრო მისიების გაცვლა ვერ გამოიწვევს სწორი ურთიერთგაგების დამყარებას.

**კონიფი** — ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ ემხრობით ჩვენს ქვეყნებს შორის ფართო ურთიერთობის დამყარებას?

**გ. კ. ჟუკოვი** — დიახ, მე ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ვემხრობი ასეთი ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ მარტო სამხედრო მისიების გაცვლა არსებული პირობებისა და ურთიერთობის დროს უსარგებლოა.

**ჰერსტი** — აქ მყოფი სამი ამერიკელი კორესპონდენტიდან კონიფი ყველაზე კარგად იცნობს სამხედრო საკითხებს და მისი სურვილია რამდენიმე კითხვა მოგცეთ.

**გ. კ. ჟუკოვი** — ვეცდები გიპასუხოთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე, თუმცა არ ვიცი, შევძლებ თუ არა დავაკმაყოფილო სამხედრო საქმის ისეთი დიდი სპეციალისტი, როგორიც ბ-ნი კონიფია. **(საერთო სიცილი).**

**კონიფი** — ამჟამად შეერთებულ შტატებში მეტად დაწვრილებით სწავლობენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის გამოცდილებას. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სპეციალისტებში არის აზრი, რომ ამ ომის მსვლელობაში გარდატეხის მომენტი იყო არა სტალინგრადის ბრძოლა, არამედ გერმანელთა განადგურება მოსკოვთან 1941 წელს. რა აზრისა ხართ თქვენ?

**გ. კ. ჟუკოვი** — მოსკოვთან ბრძოლამ ცხადყო, რომ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ არა მარტო მოიგერიონ ისეთი სერიოზული მოწინააღმდეგის შეტევა, როგორიც იყო გერმანიის არმია, არამედ შეუძლიათ კიდევაც გაანადგურონ იგი.

ომის დაწყებიდანვე, ესე იგი მას შემდეგ, რაც ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვიყავით, რომ გავიმარჯვებდით.

ომში გარდატეხა დაიწყო 1941-1942 წლების მთელი რიგი წარმატებითი ოპერაციების განხორციელების შედეგად.

სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ ინიციატივა საბჭოთა არმიის ხელში გადმოვიდა. საბოლოოდ ინიციატივა ჩვენს ხელში გადმოვიდა კურსკის ბრძოლის შემდეგ.

კურსკის ბრძოლის შემდეგ ჩვენ სრულიად აღარ გვეეჭვებოდა საბოლოო გამარჯვება.

**ჰერსტი** — პირადად თქვენ იღებდით თუ არა მონაწილეობას მოსკოვთან ბრძოლასა და სტალინგრადის ბრძოლაში?

**გ. კ. ჟუკოვი** — თავდაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებით მე დავინიშნე ჯარების სარდლად მოსკოვის დაცვის პერიოდში. სტალინგრადის ბრძოლაში ვხელმძღვანელობდი მთელ მოსამზადებელ მუშაობას სტალინგრადის ოპერაციის განსახორციელებლად. თვით ოპერაციას ახორციელებდა მარშალი ვასილევსკი. მე ამ დროს ვმუშაობდი შემდგომი შეტევითი ოპერაციების მომზადებაზე, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებდით, რათა ჰიტლერისათვის არ მიგვეცა თავისი ძალებით მანევრირების საშუალება.

**კონიფი** — რა მიგაჩნიათ ჰიტლერის ყველაზე დიდ ტაქტიკურ შეცდომად, გარდა თვით იმ ფაქტისა, რომ იგი თავს დაესხა რუსეთს?.

**გ. კ. ჟუკოვი** — თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ სტრატეგიული შეცდომები?

**კონიფი** — დიახ, სტრატეგიული.

**გ. კ. ჟუკოვი** — ჰიტლერის ყველაზე დიდი სტრატეგიული შეცდომა ის იყო, რომ ჯეროვნად ვერ შეაფასა საბჭოთა კავშირის შესაძლებლობანი.

**კონიფი** — ტაქტიკური?

**გ. კ. ჟუკოვი** — სხვადასხვა გვარეობის ჯარების თანამოქმედების მნიშვნელობის არასათანადო შეფასება, კერძოდ არტილერიის როლის არასათანადო შეფასება და ავიაციის როლის გადაჭარბებით შეფასება. ჰიტლერს იმედი ჰქონდა არტილერიის ნაკლებობა აენაზღაურებინა ძლიერი ავიაციით, მაგრამ ავიაცია ჯარების მეტად დელიკატური გვარეობაა. იგი ძლიერ დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ამინდი და მთელი რიგი სხვა გარემოებანი.

**კონიფი** — თქვენი აზრით, რომელი იყო ამერიკელ სამხედრო ხელმძღვანელთა ყველაზე დიდი სტრატეგიული შეცდომა?

**გ. კ. ჟუკოვი** — მე მგონია, რომ ყველაზე უკეთესი პასუხის გაცემა ამაზე თვითონ ამერიკელებს შეუძლიათ. მათ უკეთ მოეხსენებათ ეს.

**კინგსბერი სმიტი** — ინგლისის ავიაციის მარშალმა ჯონ სლესორმა თავის უკანასკნელ წიგნში აღნიშნა, რომ მომავალ ომში შეუძლებელი იქნება ატომგული იარაღის გამოყენების თავიდან აცილება. რა აზრისა ხართ თქვენ?

**გ. კ. ჟუკოვი** — სამწუხაროდ, ასეთი აზრისაა არა მარტო მარშალი სლესორი, არამედ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი სხვა დიდი სამხედრო მოღვაწეებიც. ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ვადგავართ. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ სავსებით აიკრძალოს ატომური ომი, და თუ ატომური იარაღი აიკრძალა, ამით კაცობრიობა მხოლოდ მოიგებს. მე მიმაჩნია, რომ ატომური იარაღი უნდა აიკრძალოს ისევე, როგორც ქიმიური იარაღი აიკრძალა.

**კინგსბერი სმიტი** — ბევრ სამხედრო სპეციალისტს შეერთებულ შტატებში მიაჩნია, რომ თუ მომავალ ომში ატომური იარაღი არ გამოიყენეს, რუსეთს მნიშვნელოვანი უპირატესობა ექნება რიცხობრივ სიჭარბესთან დაკავშირებით.

**გ. კ. ჟუკოვი** — ვფიქრობ, რომ ასეთი ლაპარაკი ფუჭი ლაყბობაა, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ გააბრიყვონ მიმნდობელი ადამიანები. მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვცდილობდით და არც ვცდილობთ გავაჩაღოთ ომი. რაც შეეხება ატომურ და წყალბადის იარაღს, როგორც მოგეხსენებათ, იგი ჩვენც გვაქვს.

**ჰერსტი** — შეერთებულ შტატებში ძალიან ბევრს მიაჩნია, რომ რაკი ატომური იარაღი ორივე მხარეს აქვს, ეს მშვიდობის გარანტიაა, რადგან ვერც ერთი მხარე, ატომური თავდასხმის შიშით, ვერ გაბედავს დაიწყოს ომი. რა აზრისა ხართ თქვენ?

**გ. კ. ჟუკოვი** — რაკი ატომური იარაღი არსებობს, უკვე შესაძლებელია მისი გამოყენება, და ზოგიერთმა შეშლილმა შეიძლება არაფერს არ გაუწიოს ანგარიში და გამოიყენოს ეს იარაღი. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მთელი ძალებით ვიბრძოლოთ ამ იარაღის აკრძალვისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები ჩვენ გვემხრობიან ამ საკითხში, აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ხალხი იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას. უნდა გვახსოვდეს, რომ ატომური იარაღი ორლესული იარაღია. ატომური ომი თანაბრად საშიშია იმათთვის, ვისაც თავს დაესხმიან, და იმათთვისაც, ვინც თავს ესხმის.

**კონიფი** — ცნობილმა ამერიკელმა გენერალმა მაკარტურმა ამას წინათ განაცხადა, რომ ის გარემოება, რომ მძლავრი ატომური იარაღი ორივე მხარეს აქვს, თავისთავად სპობს ახალი ომის წარმოშობის საფრთხეს.

**გ. კ. ჟუკოვი** — მე მიმაჩნია, რომ ეს სწორი თვალსაზრისი არ არის. ამასთანავე საკითხის ასეთი დაყენება მუდმივ გამალებულ შეიარაღებას იწვევს. სამწუხაროდ, ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება გაუკეთებია ბევრ თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეს, როგორიც არიან, მაგალითად, მონტგომერი და გრიუნტერი.

**კინგსბერი სმიტი** — ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გენერალ გრიუნტერს დაევალა შეედგინა იმ წანამძღვარზე დაფუძნებული თავდაცვის გეგმა, რომ მომავალ ომში გამოყენებულ იქნება ატომური იარაღი. ამზადებთ თუ არა თქვენ თქვენი ქვეყნის თავდაცვას ატომური თავდასხმის წინააღმდეგ?

**გ. კ. ჟუკოვი** — ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენი სამშობლოს საიმედო დაცვისათვის, მაგრამ ჩვენ იმაზე ვფიქრობთ, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ომი, ვეყრდნობით რა პრინციპს, რომ ხეირიან ჩხუბს თუნდაც უხეირო მშვიდობა სჯობს. თუ კარგი სიტყვებიდან კარგ საქმეებზე გადავალთ, მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნება. განა დრო არ არის კარგ საქმეებს შევუდგეთ?

**კინგსბერი სმიტი** — ვფიქრობ, ეიზენჰაუერი გეთანხმებათ თქვენ იმაში, რომ საჭიროა მშვიდობის შენარჩუნება.

**გ. კ. ჟუკოვი** — ეს მარტო ჩემი პირადი აზრი როდია. ეს არის მთელი საბჭოთა ხალხის აზრი, სსრ კავშირის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აზრი. 1945 წელს გერმანიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გენერალ ეიზენჰაუერის გამგზავრების წინ მე ხანგრძლივი საუბარი მქონდა მასთან. ეიზენჰაუერმა მითხრა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს არ დაესხმიან თავს სსრ კავშირს. მე ვუპასუხე, რომ სსრ კავშირიც არასოდეს არ აღმართავს ხელს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, ამას რომ ვამბობდი, არ შევმცდარვარ. იმედი მაქვს, რომ გენერალი ეიზენჰაუერიც გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზე დამოკიდებულია, რათა საქმით დაადასტუროს თავისი სიტყვები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მხრივ ამის საუკეთესო დადასტურება იქნებოდა საბჭოთა კავშირის გარშემო სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია. თქვენ თვითონ გესმით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვხედავდეთ საფრთხეს, რასაც სსრ კავშირისათვის წარმოადგენს ამ ბაზების არსებობა, რომლებიც ჩვენს საზღვრებთან ასე ახლოს მდებარეობენ.

**კინგსბერი სმიტი** — შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ საუბარში ორი დიდი ქვეყნის არმიების ორმა გამოჩენილმა ხელმძღვანელმა პირობა მისცა ერთმანეთს არ იომონ ერთმანეთის წინააღმდეგ?

**გ. კ. ჟუკოვი** — ჩვენ მაშინ ვსაუბრობდით როგორც სამხედრო პირები და არ ვხედავდით არავითარ საფუძველს ომისათვის სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამჟამად, არა საბჭოთა კავშირის მიზეზით, ვითარება, სამწუხაროდ, შეიცვალა. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა გაუარესდა და აშკარად არანორმალურია. ამოცანა ის არის, რომ აღვადგინოთ სწორი ურთიერთდამოკიდებულება.

**ჰერსტი** — გეთანხმებით, რომ ჩვენი ბაზები არის სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ არასოდეს არავის არ დავსხმივართ თავს. იმ ქვეყნებსაც კი, რომლებიც უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების ახლოს მდებარეობენ. სამხედრო ბაზები შეიქმნა მხოლოდ როგორც უშიშროების ღონისძიება ერთგვარი პოლიციური ძალის სახით, რომელიც მიმართულია არა სსრ კავშირის წინააღმდეგ, არამედ სხვა რომელიმე ქვეყნის, მაგალითად, კორეის ან ინდოჩინეთის წინააღმდეგ. **(უკანასკნელი შენიშვნის დროს კინგსბერი სმიტსა და კონიფს გაეცინათ).**

**გ. კ. ჟუკოვი** — ამერიკის შეერთებული შტატები რომ არასოდეს არავის არ დასხმიან თავს, ეს ისტორიულად სწორი არ არის. ამერიკის შეერთებული შტატები მონაწილეობდნენ ინტერვენციაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისინი თავიანთი შეიარაღებული ძალებით ერევიან აზიის მთელი რიგი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებს, როგორ გგონიათ, ისინი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ძალიან შორს არ მდებარეობენ? მე შემეძლო რამდენადმე გამემართლებინა მათი არსებობა, ისინი რომ მდებარეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ახლოს და არა ევროპაში, არა ჩინეთის ნაპირებისა და სსრ კავშირის საზღვრების უშუალო სიახლოვეს. სამხედრო ბაზების ასეთი განლაგების გამო დამაჯერებელი არ არის ახსნა, რომ ეს ბაზები შექმნილია უშიშროების ღონისძიების სახით. საბჭოთა ხალხს მიაჩნია, რომ ამ ბაზების არსებობა უშუალო საფრთხეს უქმნის მას და მის მეგობრებს — სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და ჩინეთს.

**კინგსბერი სმიტი** — ბ-ნ ხრუშჩოვთან საუბარში აღიძრა სწორედ ეს საკითხი, და ხრუშჩოვმა თქვა, რომ მას ესმის შეერთებული შტატების სურვილი ჰქონდეთ თანასწორობა სამხედრო ძალებში საკუთარი უშიშროების მიზნით, მაგრამ გაილაშქრა ამერიკის შეერთებული შტატების იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ მიაღწიონ უპირატესობას სამხედრო ძლიერებაში. როგორც ჩანს, ამაში მდგომარეობს ერთმანეთის გაუგებლობა. ბაზები წარმოადგენენ სწორედ იმის საშუალებას, რომ მივაღწიოთ ჩვენი ძალების თანასწორობას.

**გ. კ. ჟუკოვი** — დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სწორად ვერ გაიგეთ ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამი. სსრ კავშირის გარშემო ამერიკის ბაზების განლაგება მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების არა თავდაცვითს განზრახვებს, არამედ შეტევითს განზრახვებს. ჩვენ ამ საკითხებში ვერკვევით. როგორ შეიძლება თავდაცვაზე ლაპარაკი, თუ ბაზები ასე ძლიერ დაშორებულია თავდაცვის ობიექტს, ესე იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს? ასეთი სამხედრო ბაზების შექმნის მიზანია თავდასხმა და არა თავდაცვა.

**კინგსბერი სმიტი** — ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნებისადმი ჩვენი ვალდებულებების თანახმად ჩვენ უნდა დავიცვათ არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ სხვა ქვეყნებიც.

**ჰერსტი** — საერთოდ იმის გაგება, თუ რას ემსახურებიან ბაზები, თავდასხმას თუ თავდაცვას, მხოლოდ გულით შეიძლება.

**გ. კ. ჟუკოვი** — მე ვფიქრობ, რომ ასეთ სერიოზულ საქმეში უსათუოდ საჭიროა გონება. გული ზოგჯერ ცდება.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ამოცანაა არა ის, რომ გავამართლოთ გამალებული შეიარაღება, არამედ ის, რომ გამოვნახოთ პრაქტიკული გზები იმისათვის, რომ შეუძლებელი გავხადოთ ომი. თქვენ, რა თქმა უნდა, გაამართლებთ თქვენს მოქმედებას, დაგვიწყებთ დარწმუნებას, რომ, ქმნით რა ჩვენს გარშემო თქვენს სამხედრო ბაზებს, სწორად იქცევით, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს არ დაგეთანხმოთ.

მე ვფიქრობ, რომ დროა მოისპოს სამხედრო კონკურენცია, რადგან იგი მეტად მძიმე ტვირთად აწვება ხალხს.

**ჰერსტი** — სამხედრო პირებმა, ჯარისკაცებმა, ისეთებმა, როგორიც არიან ჟუკოვი და ეიზენჰაუერი, უკეთესად იციან, როგორ უნდა მშვიდობის შენარჩუნება, ვიდრე ახალი ომის გაჩაღება. მე ვფიქრობ, სამხედრო პირები ესწრაფვიან მშვიდობის შენარჩუნებას.

**გ. კ. ჟუკოვი** — ჩვენს ქვეყანაში მთელი ხალხი, მათ შორის სამხედრო პირებიც ესწრაფვიან მშვიდობას, იბრძვიან მშვიდობისათვის. საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ერთსულოვანნი არიან მშვიდობისათვის ბრძოლაში. სასურველია, რომ ამერიკის მთავრობაც მშვიდობის შესახებ სიტყვებიდან გადავიდეს მშვიდობის დაცვის საქმეზე. ასეთ პოლიტიკას მოიწონებს ამერიკის ხალხიც და მსოფლიოს ყველა ხალხიც.

სამწუხაროდ, მთელი რიგი გარემოებები აუარესებენ საერთაშორისო ვითარებას. მაგალითად, ამერიკის მთავრობის მშვიდობისმოყვარული სიტყვების ფონზე მეტად ულამაზოდ მოჩანს ტაივანის (ფორმოზის) ისტორია. ვერ გამიგია, რისთვის სჭირდება შეერთებული შტატების მთავრობას ეს გაკოტრებული ჩან კაი-ში. ჩან კაი-შის დაცვამ სერიოზულად შელახა ამერიკის ავტორიტეტი. ჩინეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევამ ჩინეთის მრავალმილიონიანი ხალხი აამხედრა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

ძალიან ხშირად ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხალხებს აშინებენ სსრ კავშირის სამხედრო ძლიერებით, ამტკიცებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია გამოვიდეთ როგორც აგრესორები. ეს სულელური ლაყბობაა. ჩვენში რომ ასეთი პოლიტიკა და ზრახვები იყოს, უნდა ითქვას, რომ სავსებით საკმაოდ გვქონდა მომენტები, როცა შეგვეძლო გამოგვეყენებინა ჩვენი სამხედრო ძლიერება. მაგალითად, ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ ევროპა ძალიან სუსტი იყო, ინგლისი — დაუძლურებული. ომის დასასრულს საბჭოთა კავშირს უდიდესი სამხედრო ძლიერება ჰქონდა. ჩვენ არ ვისარგებლეთ დასავლეთ ევროპის სისუსტით. ლაყბობას სსრ კავშირის მხრივ სამხედრო მუქარის შესახებ საერთო არა აქვს რა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან. საბჭოთა კავშირის მხრივ აგრესიით ხალხების დაშინებას საფუძვლად უდევს გარკვეული ბოროტი მიზნები, რომლებიც მიმართულია არა მშვიდობის შენარჩუნებისაკენ, არამედ ახალი ომის პროპაგანდისაკენ. ამიტომ საჭიროა ბოლო მოეღოს ამას. უნდა განვმარტოთ ასეთი მტკიცებათა მცდარობა, რადგან ეს ზიანს აყენებს მშვიდობის საქმეს.

**კინგსბერი სმიტი** — როცა ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები სუსტი იყვნენ, ჩვენს დიპლომატებს მიაჩნდათ, რომ აგრესიისაგან დაცვას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ გვაქვს ატომური ბომბები.

**გ. კ. ჟუკოვი** — მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მარტო ატომური ბომბებით ომის მოგება შეუძლებელია. გარდა ამისა, იმ პერიოდში თქვენ ეს ბომბები ძალიან ცოტა გქონდათ, სულ ხუთი-ექვსი, და მათ არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდათ.

**კონიფი** — ამ საკითხში თქვენ, როგორც ჩანს, უკეთ ხართ ინფორმირებული, ვიდრე ჩვენ.

**გ. კ. ჟუკოვი,** — ეს იყო ატომური ბომბების წარმოების დაწყების პერიოდი, და ჩვენ საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თუ რა რთულია ეს.

**ჰერსტი** — პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთის არმიაში მსახურობდა გენერალი ალექსანდრე სიბირსკი. ახლა იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ომში ავიაციის გამოყენების საკითხთა გამოჩენილ სპეციალისტად ითვლება. სიბირსკი და ფელდმარშალი მონტგომერი თავიანთ უკანასკნელ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ ამჟამად ავიონსნების გამოყენება. რამდენადაც ვიცით, საბჭოთა კავშირი არ აშენებს ავიონსნებს, იგი ძირითადად აშენებს წყალქვეშა ნავებს, კრეისერებს. რა აზრისა ხართ ამ საკითხზე?

**გ. კ. ჟუკოვი** — უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ ჩვენში რუსეთის ძველ არმიაში გენერალი სიბირსკი არ ყოფილა! ალბათ ლაპარაკია თეთრგვარდიელ გენერალ სევერსკიზე, რომელიც ამერიკაში გაიქცა. სამწუხაროდ, არ შემიძლია გიპასუხოთ, შენდება თუ არა სსრ კავშირში ავიონსნები, რადგან ამ ბოლო დროს არ მიმუშავნია სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკითხებზე. არ ვიცი, რას ემყარებოდნენ სევერსკი და მონტგომერი, როცა ავიონსნების წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ.

მე გულმოდგინედ ვადევნებ თვალყურს ფელდმარშალ მონტგომერის ყველა გამოსვლას. ჩემი აზრით, ამ ბოლო დროს იგი მარჩიელ დედაბრად თუ მისნად გადაიქცა.

**კინგსბერი სმიტი** — მე მინდა მოგცეთ უკანასკნელი კითხვა. ამას წინათ გენერალმა გრიუნტერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მას ვერ წარმოუდგენია ევროპის თავდაცვისუნარიანობა უგერმანიოდ. თქვენ რომ ყოფილიყავით გრიუნტერის ადგილას, დაეთანხმებოდით თუ არა მას, თუ გეცოდინებოდათ თქვენი მოსალოდნელი მოწინააღმდეგის ძალა?

**გ. კ. ჟუკოვი** — გენერალ გრიუნტერს რომ სცოდნოდა იმათი ნამდვილი განზრახვები, ვინც მას თავის მოწინააღმდეგედ მიაჩნია, მაშინ ამას არ იტყოდა. იგი ილაპარაკებდა მეგობრობაზე და არა ომზე. რაც შეეხება გერმანიას როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოკავშირეს, საეჭვოდ მიმაჩნია, რომ გერმანელ ხალხს სურდეს დაღვაროს საკუთარი სისხლი მისთვის უცხო ინტერესებისათვის.

**ჰერსტი** — მინდა მოგცეთ ერთი არაოფიციალური კითხვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ მე შევხვდები პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, ხომ არა გსურთ რაიმე გადასცეთ მას.

**გ. კ. ჟუკოვი** — უწინარეს ყოვლისა გთხოვთ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები. მე ხშირად ვიგონებ იმ დროს, როცა ჩვენ ერთად ვმუშაობდით ბერლინის საკონტროლო საბჭოში. მაშინ ჩვენ ბევრ სასარგებლო რამეს ვაკეთებდით. და ჩვენი კარგი ურთიერთგანწყობილება ხელს უწყობდა კარგ ურთიერთგაგებას ჩვენს ქვეყნებს შორის. მსურს გადავცე პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ჩემი სურვილები ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

**საუბარი ჩაწერა ლ. ხოდარკოვმა.**

# ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა



უკრაინელი სტუმრები ესაუბრებიან ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს.

ფოტო ვ. ბაბაიანისა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის. უახლოესი წლების განმავლობაში უნდა მივაღწიოთ მეცხოველეობის განვითარების ისეთ დონეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ კვების პროდუქტებზე მოსახლეობისა და ნედლეულზე მრეწველობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ამიტომ აუცილებელია მთელი ძალები დავრაზმოთ არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად, გონივრულად გამოყენებისათვის, ფართოდ განვავითაროთ სიმინდის კულტურა, რომელიც ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებას და სიმინდის ღეროსაგან კარგი სილოსის მიღებას. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კარგი პირობები აქვთ იმისათვის, რომ წელიწადში აიღონ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ორი მოსავალი.

ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საკითხებზე.

## გამოცდილების გაზიარების ძალა

უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობასა და ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას შორის სოციალისტურ შეჯიბრებას 1952 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ორი წლის შემდეგ შეჯიბრება გაჩაღდა ამ რაიონებს შორის.

ამ დღეებში ბათუმში სტუმრად ჩამოვიდა ბელოზერსკელ კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ტესლია.

პირველივე გულთბილი შეხვედრის შემდეგ მასპინძლებმა სტუმრები მიიწვიეს კოლმეურნეობის კანტორაში, სადაც მათ ერთმანეთს გააცნეს თავიანთი მუშაობის გასული წლის შედეგები.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — ამბობს ამხ. ვ. ტესლია, — წლითიწლობით წინ მიდის და მდიდრდება. ავიღოთ მარტო გასული სამეურნეო წელი. კოლმეურნეობაში, რომელშიც მეცხოველეობა წამყვანი დარგია, გასულ წელს 350 ძროხის თვითეულ სულზე მივიღეთ 1.820 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.600-ისა. გადაჭარბებით შესრულდა ნამატის მიღებისა და შენარჩუნების, მეცხოველეობის სულადობის, პროდუქტიულობის ზრდისა და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებები. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 175 ტონა ხორცი.

უკრაინელ მეგობრებს ახალშენის კოლმეურნეობის მიღწევები გააცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ფანცხავამ.

კარგი შედეგები აქვს ამ კოლმეურნეობას მეცხოველეობაშიც. თვითეულ საფურაქე ძროხაზე შარშან მიიღეს 2.050 კილოგრამი რძე ნაცვლად 1.650 კილოგრამისა.

ახალშენის კოლმეურნეობის წლიურმა ფულადმა შემოსავალმა 6.800 ათას მანეთს გადააჭარბა. შრომადღეზე გაიცა 23 მან. 50 კაპ. ფულად, აგრეთვე მარცვლეული.

მეგობრებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობების შემდგომი განვითარების პერსპექტივები, გააცნეს ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

**დ. პაიჭაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## ორი მოსავლისათვის

გალი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გაძლიერებით უპასუხებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ".

სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ჩოქოლი ქვაჩახიამ თავისი ბრიგადის წევრებთან მოაწყო საუბარი ახალ ამოცანებთან დაკავშირებით სიმინდის მოსავლის შემდგომი გადიდების შესახებ.

ბრიგადის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ 32 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 600 ფუთი სიმინდი, ხოლო 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 1.000 ფუთი.

ოქუმელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს დათესონ 300 ჰექტარი სიმინდი და თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 26 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24 ცენტნერისა, 20 ჰექტარზე მოიყვანონ სიმინდის ორი მოსავალი.

## სიმინდის თესვა ნაწვერალზე

ბევრი არ მოიძებნება ისეთი მცენარე, რომელიც მოსავლიანობით და პროდუქციის მრავალფეროვანი გამოყენებით სიმინდს შეედრებოდეს. სიმინდი ძვირფასი სასურსათო, საკვები და ტექნიკური ნედლეულის მომცემი მცენარეა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სიმინდის ნათესების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებით სიმინდის ნათესი ფართობი სსრ კავშირში 1960 წლისათვის 28 მილიონ ჰექტარამდე უნდა გადიდდეს. ამავე დადგენილებაში მითითებულია, რომ სიმინდი საშუალებას გვაძლევს ერთდროულად გადავჭრათ ორი ისეთი სადღეისოდ აქტუალური ამოცანა, როგორიც არის მარცვლეულის რესურსების გადიდება და სასილოსე მასის მიღება.

საქართველოს სარწყავ მიწებზე საუკეთესო პირობებია იმისათვის, რომ ერთი და იმავე ნაკვეთიდან წელიწადში ორი და სამი მოსავალი მივიღოთ, რადგან პურეულის მომკის შემდეგ პირველ საშემოდგომო ყინვამდე 120-150 თბილი, მზიანი დღე რჩება. ეს პერიოდი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სარწყავ ნაკვეთებზე მოვიყვანოთ სხვადასხვა საკვები, სასურსათო და ტექნიკური კულტურის მაღალი მოსავალი. მაგალითად, სამარცვლედ დათესილ ერთ ჰექტარ სიმინდს შეუძლია მოგვცეს 10-15 ცენტნერი მარცვალი და გარდა ამისა, 300 ცენტნერზე მეტი მშვენიერი ყუათიანი სასილოსე მასა. ამ მოსავლის საკვები ღირებულება 7.000 საკვებ ერთეულს აღემატება და თითქმის არ ჩამოუვარდება ჩვეულებრივი საგაზაფხულო ნათესიდან მიღებული მოსავლის საკვებ ღირებულებას.

სანაწვერალო სიმინდის მაღალი ყუათიანობა იმითაც აიხსნება, რომ მოსავლის აღების მომენტში მისი ჩალა მნიშვნელოვან ნაწილში ჯერ კიდევ მწვანეა და ამიტომ ცილების მეტ რაოდენობას შეიცავს, ვიდრე გამხმარი ჩალა. ამიტომაც სანაწვერალო სიმინდის ჩალა საუკეთესო სასილოსე მასალას წარმოადგენს.

### კონსულტაცია

მთელი რიგი ახალი არხების — სამგორის, ტაშისკარის და სხვა არხების აგებით ბევრად გაიზარდა სარწყავი მიწების ფართობი. ამიტომ ახლა სიმინდისა და სხვა კულტურების თესვას ნაწვერალზე იმავე წელიწადს მეორე მოსავლის მისაღებად შეიძლება ფართო გასაქანი მიეცეს.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე ივლისის პირველ დეკადაში დათესილი სიმინდის ჯიშები — მინესოტა, ქართლური კაჟოვანა, აჯამეთის თეთრი და სხვა, ვეგეტაციას ამთავრებენ ნოემბრის დამდეგისათვის და ჩალის დიდი რაოდენობის გარდა, იძლევიან საშუალოდ 12-15 ცენტნერ მარცვალს ერთ ჰექტარზე. დასავლეთ საქართველოს დაბლობის იმ რაიონებში, სადაც პურეული ითესება, სიმინდის ნაწვერალზე მოყვანა ურწყავადაც შეიძლება, მაგრამ ზაფხულის მშრალი ამინდის გამო მარცვლის მოსავლიანობა საშუალოდ 6-7 ცენტნერს არ აღემატება. ამიტომ უმჯობესია სანაწვერალო სიმინდი აქაც სარწყავ ფართობებზე მოვათავსოთ, ხოლო ისეთი სარწყავი მიწები, სადაც პურეული მოჰყავთ, შეიძლება ნაწილობრივ გამოვიყენოთ წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მისაღებად, რისთვისაც სიმინდის საადრეო ჯიშები უნდა დავთესოთ.

აღმოსავლეთ საქართველოში ნაწვერალზე დასათესად სიმინდის ჯიშების შერჩევა დამოკიდებული იქნება იმაზე, სამარცვლედ გვინდა იგი, თუ მარტო საკვებად. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს თესვის ვადასაც. თუ მარცვლის მიღება გვინდა, მხოლოდ საადრეო ჯიშები უნდა დაითესოს, თუ საკვები მასის მოყვანას ვაპირებთ, მაშინ სწორია საგვიანო ჯიშები დავთესოთ, რადგან ესენი ყოველთვის უფრო მეტ საერთო საკვებ მასას მოგვცემენ, ვიდრე საადრეო ჯიშები. სანაწვერალო სიმინდი ივლისის პირველ ნახევარზე გვიან არ უნდა დაითესოს. პურეულის აღების შემდეგ ყოველ გაცდენილ დღეს დიდი უარყოფითი გავლენა აქვს. მუშაობა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მოსავლის აღებას თან მისდევდეს ხვნა აუცილებლად წინმხვნელიანი გუთნით და ფარცხვა, ხოლო იმ დღეს თუ არა, მეორე დღეს მაინც — თესვა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. თესვას თან უნდა მიჰყვეს მინდვრის დაკვალვა და რწყვა. შემდეგ ვეგეტაციის განმავლობაში ნათესს დასჭირდება კიდევ ერთი, უკიდურეს შემთხვევაში ორი მორწყვა.

სანაწვერალო სიმინდის მოვლა ნიადაგის გაფხვიერებისა და სარეველების მოსპობის მიზნით საერთოდ ბევრად უფრო იოლია, ვიდრე ჩვეულებრივი საგაზაფხულო ნათესებისა, რადგან, ჯერ-ერთი, სანაწვერალო სიმინდის საგეგეტაციო პერიოდი უფრო მოკლეა და, მეორეც, ზაფხულის მეორე ნახევარში სარეველები ნაკლები რაოდენობით ვითარდება, ვიდრე გაზაფხულზე. ამიტომ კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესილი სიმინდის ნიადაგი საკმარისია ორჯერ დავამუშაოთ კულტივატორით ჯვარედინად და ერთხელ გამოვთოხნოთ ბუდნები.

სანაწვერალო კულტურების როლი არ ამოიწურება მარტო იმ დამატებითი მოსავლით, რომელსაც ერთი და იგივე ნაკვეთიდან ერთი წლის განმავლობაში ვიღებთ, მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით და საერთოდ მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად. ამავე დროს სანაწვერალო კულტურები საშუალებას გვაძლევენ მეტი წლიური დატვირთვით და უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკი. ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ამ კულტურების ფართოდ გავრცელებას საკოლმეურნეო მინდვრებზე.

**შ. ჭანიშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.






თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობაში დაიწყო დოლი. სურათზე: მეცხვარეობის ფერმის პირველი ბრიგადის ბრიგადირი ს. ავგროზაშვილი და ზოოტექნიკოსი ნ. კობახიძე ათვალიერებენ პირველად მოგებულ ბატკნებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

## დავძლიოთ ჩამორჩენა დოლისათვის მზადებაში

ზამთრისათვის უჩვეულო თბილი ამინდებია ახლა იორისპირებსა და ალაზნის ველზე. მეცხოველეები თითებზე ითვლიან დოლის დაწყებამდე დარჩენილ დღეებს. პირველი ადრეული ბატკნები, რომლებიც ზოგიერთ ფერმაში გამოჩნდნენ, იმის მაუწყებელია, რომ დოლი მალე ყველგან გაჩაღდება.

— წელს ძალიან კარგი დოლი გვექნება, — გვეუბნება სიღნაღის რაიონის დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. მჭედლიშვილი. ვეცნობით ამ კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაობას.

სანიმუშო წესრიგი და სისუფთავეა ბინებში. მწყემსებს მოუმარაგებიათ დოლისათვის საჭირო ინვენტარი და მასალები, ბინასთან მიუტანიათ საკმაო საკვები, დაუჯგაშნავთ თივის გარკვეული მარაგი, მოუწყვიათ საბატკნეები.

ამინდი ხელს უწყობს მეცხვარეებს პირუტყვი მთელ დღეს ალონის გარეთ — მწვანექათიბგადაკრულ საძოვარზე. წელს სამი ათასამდე ცხვარი უნდა დადოლდეს. ამჟამად მწყემსებს ყველაზე გაცხოველებული დღეები აქვთ. ისინი თავს დასტრიალებენ და მზრუნველობით უვლიან პირუტყვს, განსაკუთრებით კი დედაპირუტყვს, რომელზეც დამოკიდებულია სრულფასოვანი ნამატის მიღება.

სიღნაღის რაიონის უმრავლესი კოლმეურნეობები წელს დოლს გაცილებით უკეთ მომზადებულნი ხვდებიან, ვიდრე შარშან, როცა ამ პერიოდში პირუტყვის მასობრივ სიკვდილიანობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ დოლისათვის მზადებაში ნაკლოვანებებიც არის: ისინი დროულად უნდა გამოსწორდეს, თორემ გავლენას მოახდენენ კარზე მომდგარი დოლის წარმატებაზე.

ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ ყველა საბატკნის მოწყობა. ამასთან არ ჩაუტარებიათ უკვე მოწყობილი საბატკნეების დეზინფექცია. ასეთივე მდგომარეობაა ჯუგაანის, ქვემო მაჩხაანის და მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. ზოგან აუცილებელი ინვენტარ-მასალები, ფანრები, ნავთი, ასანთი არ მოუმარაგებიათ.

ცნობილია, რომ ცხვრის კვებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირუტყვის მაკეობის პერიოდში. მაკე პირუტყვის სწორი კვება მოწინავე მეურნეობებში სრულფასოვანი ნამატის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მაკე პირუტყვის კვება კონცენტრატებითა და სილოსით.

მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული რაიონის კოლმეურნეობებში პრაქტიკაში შემოღებული არ არის ცხვრის კვება კონცენტრატებითა და სილოსით. დედაცხვარი აქ „განსაკუთრებული უფლებით" არ სარგებლობს და მთელ დღეს სხვა პირუტყვთან ერთად მხოლოდ საძოვარზეა. ყურადღება არ ექცევა კვების რაციონის დაცვას, მის მრავალფეროვნებას.

მოისუსტებს მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ფერმებში შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ იკითხება ლექციები და მოხსენებები ზოოტექნიკურ თემებზე, მოწინავე გამოცდილებაზე. არ ეწყობა მეცხოველეობის საკითხებზე დაწერილი სტატიების კოლექტიური კითხვა, არ უჩვენებენ კინოს. უფრო მეტიც. მეცხოველეობის ფერმებში ვერ შეხვდებით მაჩვენებელთა დაფებს, ლოზუნგებს, პლაკატებს, დიაგრამებს, კედლის გაზეთს.

**გ. ხეჩუაშვილი,**
**ე. სიმონიშვილი.**

## მეცხოველეობის აღმავლობის არსებითი საკითხები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მიიღო დადგენილება ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობას მკვეთრი აღმავლობის შესახებ იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე და მრეწველობისა — ნედლეულზე. პლენუმის გადაწყვეტილებაში ნაჩვენებია მეცხოველეობის შემდგომი განვითარების გზები და გამოვლინებულია საამისო უდიდესი რეზერვები. ყოველ კოლმეურნეობაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობასა და რაიონში კოლმეურნეების, მუშებისა და სპეციალისტების ფართო მასების მონაწილეობით, ადგილობრივი ბუნებრივი და ეკონომიური პირობების შესაბამისად და მოწინავე მეურნეობათა გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ უნდა იქნას ღონისძიებანი ამ დავალების შესასრულებლად.

უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა მეცხოველეობის მოწინავე ფერმების რაოდენობა. ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიღებულ იქნა 2.510 კილოგრამი რძე, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 2.314 კილოგრამი, გარეჯუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში — 2.303 კილოგრამი, ლაგოდეხის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში — 1.819 კილოგრამი, ბოგდანოვკის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 1.747 კილოგრამი, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობაში — 1.787 კილოგრამი და ა. შ. გარეჯუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო ფერმაში მწველავმა ნ. ჭაჭაიამ თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღო 3.070 კილოგრამი რძე.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოწინავე ფერმები დიდ წველადობას აღწევენ უპირველეს ყოვლისა პირუტყვის კარგად გამოკვებისა და შენახვის შედეგად. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა საკვების წარმოების გასადიდებლად გაზარდეს საკვები კულტურების სათესი ფართობი, შექმნეს მწვანე კონვეიერი და საკმაო რაოდენობით დაამზადეს მწვანე საკვები.

მაგრამ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება სუსტად ინერგება საკოლმეურნეო წარმოებაში. კოლმეურნეობების დიდმა ნაწილმა გასულ წელს დაბალი წველადობა გვიჩვენა. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიღებულ იქნა მხოლოდ 173 კილოგრამი რძე, გუდაუთის რაიონში — 145 კილოგრამი, ფოთის რაიონში — 178 კილოგრამი, ვანის რაიონში — 210 კილოგრამი, ცხაკაიას რაიონში — 229 კილოგრამი.

მრავალ კოლმეურნეობაში თბილი ამინდის გამო მერძეულ პირუტყვს თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში საძოვრებზე აძოვებენ, რაც ზოგავს საკვებს. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის მომჭირნე ხელმძღვანელი არ ითვალისწინებს იმას, რომ პირუტყვის საძოვარზე გაშვება ვერ უზრუნველყოფს მის საკმაოდ გამოკვებას, და ცდილობს რაც შეიძლება ნაკლებად გასცეს დამატებითი საკვები. პირუტყვი შიმშილობს და ამიტომ დაბალია მისი პროდუქტიულობა. ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთის თიბილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, მიუხედავად იმისა, რომ თივისა და ჩალის დიდი მარაგი აქვთ, თითო სულზე დღეში ხარჯავენ 6 კილოგრამ უხეშ საკვებს. ნახევრად შიმშილობს აგრეთვე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან შემოყვანილი მოზარდეული. ამ კოლმეურნეობაში ცუდი კვების გამო ადგილობრივი ჯიშის ძროხა დღეში საშუალოდ იძლევა 3 კილოგრამ რძეს, ხოლო შეძენილი გაუმჯობესებული ჯიშების ძროხები — 7-8 კილოგრამს. ზორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში ძროხებს აძლევენ 7-8 კილოგრამ სიმინდის ჩალას და 1-1,5 კილოგრამ კონცენტრატს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამ კოლმეურნეობაში გასული წლის მეოთხე კვარტალში საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღეს 48 კილოგრამი რძე. ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებში ძალიან ცუდი კვების შედეგად მიღებულ იქნა კიდევ უფრო ნაკლები — 28 კილოგრამი რძე. აი სადამდე მივყავართ საკვების მოუფიქრებელ დაზოგვას. დროა ასეთმა ხელმძღვანელებმა შეიგნონ, რომ ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ზამთრის პერიოდში პირუტყვი დაღუპვას გადავარჩინოთ, არამედ უნდა უზრუნველვყოთ მისი სრულფასოვანი პროდუქტიულობა კარგი კვებით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაგვავალა ხორცის წარმოება გავადიდოთ უპირველეს ყოვლისა მეღორეობის განვითარების, აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის ძოვებისა და გასუქების უკეთ ორგანიზაციის მეშვეობით, მეფრინველეობის განვითარებით. მაგრამ პირუტყვის, განსაკუთრებით ღორების, გასუქების საქმეში მდგომარეობა კარგი ვერ არის. ხშირად კოლმეურნეობები, რომლებსაც არ ჰყავთ გასუქებული ღორები და ბუღები, სახელმწიფოს აბარებენ და სახორცედ კლავენ ძროხებს, რასაც დიდი ზარალი მოაქვს განსაზოგადოებული მეურნეობისათვის. თვითეულ კოლმეურნეობაში უნდა გამოვყოთ გასასუქებლად ღორების, ხარების და ბუღების ჯგუფები, მოვაწყოთ ცხვრის ძოვება კონდიციური ხორცის გასადიდებლად.

მეცხოველეობის განვითარება დიდად არის დამოკიდებული ყოველ რაიონსა და კოლმეურნეობაში მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე. ბევრი კოლმეურნეობა მცირე რაოდენობით თესავს საკვებ კულტურებს, ცუდად უვლის მათ და ამიტომაც დაბალ მოსავალს იღებს. გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში 653 ჰექტარი სათესი ფართობიდან საკვებ კულტურებს უჭირავს მხოლოდ 81 ჰექტარი, ანუ 12,3 პროცენტი. ამ კოლმეურნეობაში მევენახეობის შემდგომ გაფართოებასთან ერთად შეიძლებოდა საკვები კულტურების ნათესების ერთიორად გადიდება. წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის სათესი ფართობი 3.600 ჰექტარს აღემატება, საკვებ კულტურებს უჭირავს მხოლოდ 9,2 პროცენტი. ამ კოლმეურნეობაში წელს უნდა მოეწყოს მწვანე კონვეიერი სამ ფერმაში, ერთწლიანი ბალახების (სუდანურისა და ქვრიმის) თესვა უნდა გაფართოვდეს 169 ჰექტარიდან 350 ჰექტარამდე, მრავალწლიანი ბალახებისა (ესპარცეტისა და იონჯის) — 53 ჰექტარიდან 100 ჰექტარამდე, საკვები ძირხვენებისა და ბაღჩეული კულტურებისა — 55 ჰექტარიდან 128 ჰექტარამდე, სასილოსე კულტურებისა — 70 ჰექტარიდან 100 ჰექტარამდე, უნდა გაუმჯობესდეს მდელოებისა და საძოვრების მდგომარეობა.

განა შეიძლება შევურიგდეთ ისეთ ფაქტს, რომ სტალინირის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში 1954 წელს საკვები ძირხვენების მოსავალი მიღებულ იქნა ჰექტარზე მხოლოდ 5,7 ტონა, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 16 ტონა, ხოლო სასილოსე სიმინდი ჰექტარზე მიღებულ იქნა 8 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,5 ტონისა, მიუხედავად იმისა, რომ გეგმაც შემცირებულად არის შედგენილი! საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადში" ჰექტარზე მიღებულ იქნა 1,7 ტონა საკვები ძირხვენები, 7,4 ტონა სასილოსე მასა. ამავე რაიონის სოფელ მანავის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 3,5 ტონა საკვები ძირხვენები და 7,6 ტონა სასილოსე სიმინდი. საკვები კულტურების შეუფასებლობას ბოლო უნდა მოეღოს. ეს კულტურები უნდა ვთესოთ კარგ მიწაზე, გვალვიან ზონაში უნდა გამოვყოთ სარწყავი ნაკვეთები, უნდა უზრუნველვყოთ მათი კარგი დამუშავება, სასუქის შეტანა. თუ კარგად მოვუვლით საკვები კულტურების ნათესებს, გაცილებით უფრო მეტ მოსავალს მივიღებთ და გავადიდებთ საკვების დამზადებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად არ ხდება საკვები ბაზის გაფართოება და ეს შეხამებული არ არის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში ფართოდ არის განვითარებული სუბტროპიკული კულტურები, ხეხილი, თამბაქო, ეთერზეთოვანი და სხვა სპეციალური კულტურები. ამ რაიონებში საკვები კულტურების თესვა შედარებით მცირე ფართობზე შეიძლება. მაგრამ არასწორი დაგეგმვის შედეგად პირუტყვის ყველაზე დიდი რაოდენობა ამ რაიონებზე მოდის. მაგალითად, მახარაძის რაიონში 100 ჰექტარ სავარგულზე მოდის 128 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 34 ძროხა, 48 ღორი, მაშინ როცა საშუალოდ რესპუბლიკაში მოდის 37 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 9 ძროხა, 67 ცხვარი და თხა, 19 ღორი. აჭარის ასს რესპუბლიკაში 100 ჰექტარ სავარგულზე მოდის 7-ჯერ მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ვიდრე, მაგალითად, სიღნაღის რაიონში. კაჰრეთის რაიონში, სადაც პირუტყვის მცირე რაოდენობაა, საკვებ კულტურებს უჭირავს ნათესი ფართობის 8 პროცენტი, ხოლო წითელწყაროს რაიონში — 6 პროცენტი. ამ რაიონებში სახნავი მიწების ნაწილის გამოყენება შეიძლება საკვები კულტურების დასათესად.

დიდი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის ჯოგის სტრუქტურის სწორად დაგეგმვას. ბევრ კოლმეურნეობას საზოგადოებრივი მეცხოველეობის ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საბრძოლო ამოცანად დააყენა რძის მეტი რაოდენობით მიღება ძროხების რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობიდან. ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელსაც არ ესმის მაღალპროდუქტიული ჯოგის ორგანიზაციის მნიშვნელობა, ცდილობს შეიძინოს ყველა სახის პირუტყვი და ივიწყებს იმას, რომ საჭიროა ძროხების რაც შეიძლება მეტად გამრავლება. მაღალპროდუქტიული მერძეული მეცხოველეობის ორგანიზაციის ნაცვლად ისინი აწყობენ ზოოლოგიურ ბაღს, რომელიც არავითარ შემოსავალს არ იძლევა. მაგალითად, არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საქართველოს კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ძროხების ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში მხოლოდ 23,2 პროცენტს შეადგენდა.

პარტიამ და მთავრობამ მტს-ებს დაავალეს უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის ყოველმხრივი და კვალიფიციური მომსახურება. ახლა მტს-ების მუშაობის შედეგების შეფასება ხდება არა მარტო სატრაქტორო სამუშაოების გეგმის შესრულების მიხედვით, არამედ, რაც მთავარია, მოსავლიანობის გეგმის შესრულების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდა და მისი პროდუქტიულობის ამაღლება.

სტალინირის მტს-მა კარგ მაჩვენებლებს მიაღწია სატრაქტორო სამუშაოებში, მაგრამ მეცხოველეობის საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხელით აწველის რძეს ხბოებს, მოწესრიგებული არ არის ღორების გასუქება. მტს-ს პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და კოლმეურნეობებში საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ მთელი ძალები დავრაზმოთ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, უზრუნველვყოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლება.

**გ. ნესტერენკო,**
სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ინსპექტორი.

# უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გამო

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 11 თებერვალი. (საკდესი). ჩინეთის პრესა კვლავ დიდი ინტერესით ეხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას. ცენტრალური გაზეთები აქვეყნებენ ნ. ა. ბულგანინის სიტყვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, უმაღლესი საბჭოს დეკლარაციასა და სესიის გადაწყვეტილებებს, მათ შორის ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო.

პეკინი, 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს შანხაის ყველა გაზეთი დიდი სათაურებით თვალსაჩინო ადგილას ათავსებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას. გაზეთი „სინვენჟიბაო" წერს: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის ხალხებსა და პარლამენტებს შეაჩერონ ახალი ომის გაჩაღება და გააძლიერონ ბრძოლა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის".

დღეს შანხაის პრესა ბეჭდავს „საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ" ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების დაწვრილებით შინაარსს.

## პოლონეთი

ვარშავა, 11 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის ყველა ცენტრალური გაზეთი ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებს, უძღვნის მათ მოწინავე და სარედაქციო სტატიებს. მოწინავე სტატიაში „მშვიდობის პოლიტიკის ძალა" გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ" დღეს წერს:

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციასა და ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის სიტყვაში მოცემულია საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება, მშვიდობის სასარგებლოდ ძალების უდიდეს ცვლილებათა შეფასება, აგრეთვე იმ საფრთხის რეალური შეფასება, რომელიც არსებობს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების აგრესიული მოქმედების შედეგად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დოკუმენტები მოწმობენ საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ისინი გვინერგავენ იმის რწმენას, რომ ახალი მსოფლიო ომის გასაჩაღებლად წამოწყებული ყოველი ავანტიურა აუცილებლად ცუდად დამთავრდება აგრესორისათვის, გვინერგავენ აგრეთვე კაცობრიობის მომავლის რწმენას.

სესიაზე მიღებული დოკუმენტებიდან და წარმოთქმული სიტყვებიდან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც განახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის, კოლექტიური უშიშროების, მოლაპარაკებისა და შეთანხმებათა პოლიტიკას. უეჭველია ამ პოლიტიკის წარმატებანი საერთაშორისო ასპარეზზე. უეჭველია აგრეთვე ის, რომ ეს წარმატებანი გამრავლდება, რადგან კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე სულ უფრო მეტად ისახება ალტერნატივა: ერთი მხრივ მშვიდობიანი თანაარსებობის პრაქტიკული სარგებლობა და მეორე მხრივ „ცივი ომის" გამწვავება, ამერიკის ავანტიურისტულ პოლიტიკაში გაბმის საფრთხე, ომის საფრთხე. სულ უფრო ფართო საზოგადოებრივ წრეებს, მათ შორის კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიის გარკვეულ ჯგუფებს გამოაქვთ დასკვნა ამ ალტერნატივიდან.

მეორე მსოფლიო ომი იმით დამთავრდა, რომ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები ჩამოშორდნენ კაპიტალისტურ სისტემას. ეჭვი არ არის, რომ თუ იმპერიალისტებმა გაბედეს და გააჩაღეს მესამე მსოფლიო ომი, დაიღუპება არა „მსოფლიო ცივილიზაცია", არამედ ძირმომპალი კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემა და სისხლით გაჟღენთილი მისი იმპერიალისტური საფუძველი. გაფრთხილების სიტყვები ემყარება საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მშვიდობის მთელი ბანაკის ძლიერებას. ეს სიტყვები ემყარება ყველა იმ ხალხის ძალას, რომლებსაც სწყურიათ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

მშვიდობის ძალები განუწყვეტლივ იზრდებიან და ისინი უკვე ახლა აგრესიისა და ომის ძალებზე ძლიერი არიან.

ჩვენი ხალხი სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

საბჭოთა პოზიცია მშვიდობის საკითხში, აღნიშნავს გაზეთი „გლოს პრაცი", ყველასთვის ნათელია. მისი გაგება არ სურთ მხოლოდ ატომის მაგნატებს და თვითმკვლელობის კანდიდატებს. ეს პოზიცია იმას ემყარება, რომ არის რეალური შესაძლებლობა, რათა სადავო საერთაშორისო საკითხები გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. მაგრამ ამ გადაჭრის ძირითადი პირობაა ორივე მხარის კეთილი ნება, ორივე მხარის მისწრაფება — მიაღწიონ შეთანხმებას.

## ბულგარეთი

სოფია, 11 თებერვალი. (საკდესი). ბულგარული პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებს. დღეს გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვას.

გაზეთები „რაბოტნიჩესკო დელო" და „ოტეჩესტვენ ფრონტი" მოწინავე და სარედაქციო სტატიებში კომენტარს უკეთებენ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას და ნ. ა. ბულგანინის სიტყვას.

უმაღლესი საბჭოს მუშაობა, წერს „რაბოტნიჩესკო დელო", ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, თუ რა დაუცხრომლად და თანმიმდევრულად იბრძვის საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

ფხენიანი, 11 თებერვალი. (საკდესი). ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგების შესახებ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

დღეს კორეის გაზეთებში გამოქვეყნებულია სრული ტექსტი ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებისა „საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ", სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია და სესიის გადაწყვეტილებანი.

## ინგლისი

ლონდონი, 11 თებერვალი. (საკდესი). „დეილი ჰერალდი", სარედაქციო სტატიაში ეკამათება რა იმ კომენტატორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესება, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანაარსებობა კვლავ სწორი პოლიტიკაა, და დასძენს: „საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი".

ამავე აზრს გამოთქვამს გაზეთი „დეილი ექსპრესი": „ბულგანინმაც და მოლოტოვმაც საჭიროდ მიიჩნიეს აღენიშნათ რომ თანაარსებობის პოლიტიკა კვლავ ხორციელდება. არასოდეს არ უნდა დავკარგოთ იმის რწმენა, რომ მშვიდობა, რომელსაც ესწრაფვის ყველა ხალხი, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას".

ლონდონი, 11 თებერვალი. (საკდესი). ყოველკვირეული გაზეთი „ტრიბუნი" მკვეთრად აკრიტიკებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკას და უარს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დასავლეთმა ნამდვილი პასუხი არ გასცა უფრო მისაღებ საბჭოთა პოლიტიკაზე.... ინგლისისა და ამერიკის მთავრობების ერთადერთი და უპირველესი მიზანი იყო მიეღებინებინათ ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას. ისინი აცხადებენ, რომ, ვიდრე ეს მიზანი არ იქნება მიღწეული, არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება".

ეხება რა ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებს, გაზეთი აღნიშნავს, რომ „იდენი და დალესი დამსახურებისამებრ მიიღებენ, თუ მათ მტკიცე პოლიტიკას მოსკოვი ასეთივე მტკიცე პოლიტიკით უპასუხებს". სტატიის ავტორი აცხადებს, რომ „მოლაპარაკების შესაძლებლობა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გამორიცხული... მოლაპარაკება ახლა უნდა მოეწყოს"...

## საფრანგეთი

პარიზი, 11 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის მემარჯვენე პრესა ამჯობინებს დუმილით აუაროს გვერდი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ძირითად გადაწყვეტილებებს. ბურჟუაზიული გაზეთები მხოლოდ ზერელედ ახსენებენ უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას. მაგალითად, გაზეთ „კრუას" არა სურს დაინახოს დეკლარაციაში არაფერი, გარდა თითქოს „ცდისა ხელი შეუშალოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას".

სესიასთან დაკავშირებული საკითხი, რომელსაც ბურჟუაზიული გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ, — ეს არის ცვლილებანი საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში. კომენტარს უკეთებენ რა ამ ცვლილებებს, გაზეთები გამოთქვამენ ყოველგვარ სულელურ აზრებსა და ვარაუდებს.

სესიის შედეგებს დიდ ყურადღებას აქცევს დემოკრატიული პრესა.

გაზეთი „ლუმანიტე" ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას.

„სსრ კავშირმა, — წერს გაზეთი, — გზა გვიჩვენა და შემოგვთავაზა ყველა მთავრობისათვის მისაღები გადაწყვეტილებანი, მიუხედავად მათი შეხედულებებისა დემოკრატიაზე, ოღონდ კი ისინი გულწრფელად ისწრაფოდნენ დაიცვან მშვიდობა. მან წინადადება მოგვცა დავდოთ ხელშეკრულება ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაზე, განურჩევლად მათი წყობილებისა.

მან მოითხოვა, რომ გერმანელ ხალხს შეეძლოს თავისუფლად აირჩიოს თავისი მთავრობა მთელი გერმანიისათვის თავისუფალი არჩევნების საშუალებით, რაც საერთაშორისო კონტროლით უნდა მოეწყოს...

მაგრამ სავსებით ნათელია, რომ თუ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებს დაამტკიცებენ, ამგვარი გადაწყვეტა გამორიცხული იქნება. აგრეთვე ცხადია, რომ სსრ კავშირი გულხელდაკრეფილი არ იქნება მის წინააღმდეგ აშკარად და უშუალოდ მიმართული სამხედრო სისტემის წინაშე. ასეთია არჩევანი.

ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ფრანგმა ხალხმა მთელი თავისი ძალღონე უნდა მოახმაროს იმას, რომ გახსნილი დარჩეს მშვიდობიანი გადაჭრის გზა, რომ მისმა პარლამენტმა ყურად იღოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწოდება, რომელიც მიმართულია ევროპის ყველა პარლამენტისადმი მშვიდობისა და საფრანგეთის სასარგებლოდ, რომელსაც აგრეთვე ემუქრება უშუალო საფრთხე?".

გაზეთ „ლუმანიტეს" მოსკოველი კორესპონდენტი, ეხება რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1955 წლის ბიუჯეტი ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძირითად პოლიტიკურ ხაზს, რომლის მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება, მშვიდობის უზრუნველყოფა და ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება.

ეხება რა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ პრობლემების განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „ერთიანობისა და თავისი ქვეყნის მშვიდობის და უშიშროების დაცვის მტკიცე გადაწყვეტილების ჩინებული დემონსტრაციაა".

# ოტო გროტევოლის განცხადება

ბერლინი, 11 თებერვალი. (საკდესი). უპასუხა რა ადნ-ის სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოხსენება წარმოადგენს ყველა ქვეყნის და განსაკუთრებით დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის პროგრამას.

საბჭოთა კავშირს, თქვა გროტევოლმა, თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია მშვიდობის ძალების განმტკიცება და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შემცირება, იგი იბრძვის იმისათვის, რომ ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი დაწესდეს, როგორც შეიარაღების შემცირებაზე, ისე ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა საშუალების აკრძალვაზე და წინადადებას აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეჯიბრონ არა ატომური იარაღის წარმოების, არამედ ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში.

ასეთი პოლიტიკა ყველა ხალხისა და განსაკუთრებით კი გერმანელი ხალხის ინტერესებს შეესაბამება, და ამიტომ მას მთლიანად უჭერს მხარს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი.

მიუხედავად მთელი იმპერიალისტური პროვოკაციებისა, საბჭოთა კავშირი განუხრელად იცავს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს...

საბჭოთა კავშირის მისწრაფება მიაღწიოს ურთიერთგაგებას მოლაპარაკების გზით მხარდაჭერაა იმათთვის ვინც ასეთ მოლაპარაკებას მოითხოვს. იგი უარყოფს ადენაუერის ცილისმწამებლურ, დაუსაბუთებელ მტკიცებას, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით ოლენჰაუერისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, თითქოს საბჭოთა კავშირთან, განსაკუთრებით საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა შემდეგ, მოლაპარაკება „შეუძლებელია".

უპასუხა რა კითხვას, რა დასკვნები უნდა გააკეთოს გერმანელმა ხალხმა ვ. მ. მოლოტოვის განცხადებიდან გერმანიის გაერთიანების საკითხზე, გროტევოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც საბჭოთა მთავრობის 15 იანვრის განცხადებაში, ისე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულია აზრი — დაიწყოს მოლაპარაკება ოთხ სახელმწიფოს შორის, რათა ჯერ კიდევ მიმდინარე წელს მოეწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები. ასეთი არჩევნების შედეგად, თქვა გროტევოლმა, აღდგებოდა გერმანიის ერთიანობა მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძველზე. საბჭოთა კავშირის წინადადებას ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ, როგორც ცნობილია, სიხარულითა და იმედით მიესალმება გერმანელი ხალხის უმრავლესობა. გროტევოლმა გამოთქვა გერმანელი ხალხის სურვილი, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ, რომლებიც აგრეთვე პასუხისმგებელი არიან გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის, მიიღოს წინადადება ასეთი მოლაპარაკების შესახებ.

კითხვაზე, რა წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, ოტო გროტევოლმა უპასუხა: „მთავარი დაბრკოლება გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ის არის, რომ გერმანიისა და უცხოეთის აგრესიულ წრეებს სურთ აღორძინონ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმი და ჩაბან გერმანელი ხალხი ახალ საომარ ავანტიურებში. ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას და დასავლეთ გერმანიის შეყვანას აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში, თუ მათი რატიფიკაცია მოხდა, დიდი ხნით შეაფერხებენ გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია უმძიმეს ლახვარს ჩასცემს გერმანელ ხალხს...

გერმანიის ერთიანობის აღდგენა მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარყოფილ იქნება პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია და ამასთან დაკავშირებული მილიტარიზმის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში".

გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალების მთავარი ამოცანა, ხაზგასმით აღნიშნა გროტევოლმა, ის არის, რომ ხელი შეუშალოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას და ამით მდგომარეობის გამწვავებას. მთელი გერმანიის პატრიოტული ძალები, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი ეროვნული პასუხისმგებლობა, უნდა დაირაზმონ და ერთობლივად მიაღწიონ შეთანხმებას გერმანელთა შორის თავისუფალი არჩევნების განხორციელების საკითხზე, რაც უთუოდ საჭიროა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, სახალხო პალატასა და მოსახლეობას მრავალჯერ განუცხადებიათ, რომ მზად არიან მოლაპარაკებისათვის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან, — განაგრძო გროტევოლმა. — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იცავს თავის ყველა წინანდელ წინადადებას; იგი, როგორც წინათ, მუდამ მზად არის მოლაპარაკება დაიწყოს სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხზე და ყველა სხვა საკითხზე. ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ მზადა ვართ მონაწილეობა მივიღოთ ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაში, რათა შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა ჩვენი ხალხისათვის.

მშვიდობის ძალები განუწყვეტლივ იზრდება და დღეს უკვე აღემატება აგრესიისა და ომის ძალებს. მთელ გერმანელ ხალხს, თუ იგი უარს იტყვის პარიზის შეთანხმებებზე და მშვიდობის გზას დაადგება, ყოველთვის შეუძლია იქონიოს სსრ კავშირის მთავრობისა და სხვა მეგობრული ქვეყნების აქტიური მხარდაჭერის იმედი თავის საარსებო საკითხთა გადაჭრაში.

უპასუხა რა კითხვას პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგების შესახებ, ოტო გროტევოლმა განაცხადა:

„თუ დაამტკიცეს პარიზის შეთანხმებანი, წარმოიშობა ახალი მდგომარეობა, რადგან გაძლიერდება ომის საფრთხე. საბჭოთა კავშირს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას არ შეუძლიათ არ გააკეთონ საჭირო დასკვნები თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ევროპის რვა სახელმწიფო, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში ეფექტიან ღონისძიებებს მიიღებს თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად. ასეთ ღონისძიებებს ეკუთვნის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების დადება და ერთიანი სამხედრო სარდლობის შექმნა.

ამ შემთხვევაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა შექმნას ეროვნული შეიარაღებული ძალები, რომლებიც მეგობრული ქვეყნების ძალებთან ერთად თავის წვლილს შეიტანენ მშვიდობის შენარჩუნებისა და მოსახლეობის მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფის საქმეში.

ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ მშვიდობის ბანაკის ქვეყნების ერთობლივი ღონისძიებანი ჩაფუშავენ აგრესიული წრეების ავანტიურისტულ გეგმებს, ხოლო თუ ეს წრეები მაინც შეეცდებიან გააჩაღონ ახალი ომი, მაშინ — საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმაც მტკიცედ და ხაზგასმით აღნიშნა ეს — ყოველგვარი სამხედრო ავანტიურა უსათუოდ ცუდად დამთავრდება აგრესორისათვის".

# სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეხუთე წლისთავი

## საზეიმო სხდომა პეკინში

პეკინი, 13 თებერვალი. (საკდესი). დღეს პეკინში გაიმართა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

ხუაიჟენტანის დარბაზში, რომელიც მორთულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კულტურული წრეების წარმომადგენლები, პეკინის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე სუნ ცინ-ლინი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები ლინ ბო-ციუი, გო მო-ჟო, ლი ძი-შენი და საზოგადოების სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, პეკინის მერი პინ ჯენი, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. მ. ლომაკინი და სხვები.

საზეიმო სხდომა გახსნა გო მო-ჟომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდმა მეგობრობამ და მჭიდრო დარაზმულობამ არა მარტო ხელი შეუწყო ჩინელი და საბჭოთა ხალხების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას, არამედ განამტკიცა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი და დიდი წვლილი იყო შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გო მო-ჟოს შესავალი სიტყვის შემდეგ შესრულებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეხუთე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა სუნ ცინ-ლინმა.

შემდეგ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. მ. ლომაკინმა.

დასასრულ საზეიმო კრების მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

# საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავს.

გუშინ, 14 თებერვალს, ამ ისტორიული ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავის დღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მოაწყო საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ.

დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის მეომრები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

იარუსებზე გარშემოვლებულ წითელ ტილოებზე ჩინურ, რუსულ და ქართულ ენებზე წარწერილია ლოზუნგები საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად.

სცენას ამშვენებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები. სცენის ცენტრშია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ემბლემა.

პრეზიდიუმში არიან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ი. კუჭავა, თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან აგრეთვე სტუმრები — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი პ. პელოვსკი და დელეგაციის წევრები, რომელსაც იგი მეთაურობს. სალამოს დაესწრო ჩილის პარლამენტის წევრი და ქალაქ სანტიაგოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ხოზე კურეტო.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მ. ა. კვესელავამ.

საზეიმოდ ჟღერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გ. ნ. ჯიბლაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კ. ს. ზავრიევი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ს. მჭედლიძე, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კონსტრუქტორი ვ. ნ. ბობრო.

საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ხელოვნების ოსტატებმა. (საქინფორმი).

# მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

## პფლიმლენმა უარი თქვა მთავრობის შედგენაზე

პარიზი, 14 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ პიერ პფლიმლენმა („სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა") უარი თქვა მთავრობის შედგენაზე.

# სპორტის მოყვარულთა ბიბლიოთეკა

## საბჭოთა მოციგურავე ქალების დიდი წარმატება

12 და 13 თებერვალს ფინეთის ქალაქ კუოპიოში გაიმართა მსოფლიო პირველობის გათამაშება ქალთა შორის ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში.

პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა თ. რილოვამ და რ. ჟუკოვამ პირველი ადგილები დაიკავეს 500 და 3.000 მეტრზე რბენაში. მეორე დღის შეჯიბრებაც 1.000 და 5.000 მეტრზე რბენაში საბჭოთა მოციგურავეებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს.

ორი დღის საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა საბჭოთა მოციგურავეების რ. ჟუკოვას, თ. რილოვას და ს. კონდაკოვას გამარჯვებით, რომლებმაც 3 პირველი ადგილი დაიკავეს. მსოფლიოს ჩემპიონი ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთა შორის გახდა საბჭოთა სპორტსმენი რიმა ჟუკოვა. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა მოციგურავეებმა 15-დან 13 მედალი მოიპოვეს, აქედან ოქროს — 5, ვერცხლის — 3 და ბრინჯაოს — 5 მედალი.

## საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

13 თებერვალს გათამაშდა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ორი ტურის დაუმთავრებელი პარტიები.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ანტოშინ-ბოტვინიკის პარტიის დამთავრებამ. ეს პარტია შეწყვეტილი იყო 41-ე სვლაზე მწვავე მდგომარეობაში. თამაშის განახლებისას მსოფლიო ჩემპიონმა პარტია გადაიყვანა ლაზიერის ენდშპილში, როცა შავებს ორი ზედმეტი პაიკი ჰყავდათ. ბოტვინიკმა რამდენიმე ქმით გააძლიერა თავისი პოზიცია და მალე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა თეთრების მეფე. ანტოშინი იძულებული გახდა დანებებულიყო.

გროსმაისტერმა ავერბახმა პარტიაში ლისიცინთან ჯერ კიდევ შესვენებამდე არაზუსტი სვლით პარტნიორს შესაძლებლობა მისცა დამთავრების დროს გაეუმჯობესებინა თავისი მდგომარეობა. ლისიცინი ზუსტად იცავდა თავს, და ავერბახის შემდგომი მეცადინეობა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ 57-ე სვლაზე.

სიმაგინმა პარტიაში კორჩნოისთან ჩინებულად გამოიყენა თავისი ფიგურების აქტიური მდგომარეობა და გაიმარჯვა. გელერმა მოუგო შჩერბაკოვს, ცხადყო რა კუს უპირატესობა მხედრის წინაშე პოზიციაში, როცა პაიკები სხვადასხვა ფლანგზე არიან.

ბორისენკო-ფურმანის და მიკენას-სპასკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

შჩერბაკოვ-კოტოვის პარტია კვლავ გადაიდო 73-ე სვლაზე.

ორი ტურის შემდეგ წინ არის მოსკოველი ოსტატი სიმაგინი, რომელსაც ორი ქულა აქვს. (საკდესი).

## მოფარიკავეთა შეჯიბრება

კვირას თბილისში დაიწყო მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დედაქალაქების მოფარიკავეთა გუნდების შეხვედრები. შეჯიბრება მიმდინარეობს „დინამოს" სტადიონის სასპორტო დარბაზში. პირველ დღეს თბილისის მოფარიკავე ქალები შეხვდნენ ბაქოსა და ერევნის სპორტსმენებს. ორივე შეხვედრა რაპირით ფარიკაობაში დამთავრდა თბილისის მოფარიკავეთა გამარჯვებით ანგარიშით 7:2.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

რედაქტორი ნ. ჯაში.


**დღეს**
**თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (დ. გამრეკელის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის—ესპანელი მღვდელი, გრიბოედოვის სახელობის — მოგზაურობის წლები, მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალან, მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 36, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — სიღარიბე საძრახისი როდია (8 ს.).

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ე. ტელმანი — თავისი კლასის შვილი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის, ისანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის პარკი — ფანფან-ტულპანი, კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ვატერლოოს ხიდი, დიდუბე, კომუნარების ბაღი — განგა, კოლმეურნე — ბაიჯუ ბავრა.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს ქართული საბჭოთა ლიტერატურის (ნახევარ საშტატო ერთეულზე) და ძველი ქართული ლიტერატურის (ნახევარ საშტატო ერთეულზე) უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე დართული უნდა ჰქონდეს (ორ-ორ ცალად) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დიპლომების პირები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერული ნაშრომების სია და მთავარი მეცნიერული შრომები (თითო ცალად). კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ საშტატო ადგილებზე:

1. უმაღლესი ნერვული მოქმედების ლაბორატორიის გამგე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ამ დარგში სათანადო მუშაობის სტაჟით და შრომებით).
2. პათო-ფიზიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ამ დარგში სათანადო მუშაობის სტაჟით და შრომებით).
3. ნიშანდებული ატომების ლაბორატორიის გამგე (მეცნიერებათა დოქტორი, ამ დარგში სათანადო მუშაობის სტაჟით და შრომებით).

კონკურსში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ არსებული ინსტრუქციით გათვალისწინებული საბუთები კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (პლეხანოვის, 60).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

შვილები მარგარიტა, გიორგი, ქეთევან, ელენე ოჯახებით იუწყებიან **ანასტასია ლევანის ასულ ყიფიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-II, 8 ს. გამოსვენება 17-II, 4 ს. ძნელაძის I ჩიხი № 4.

მეუღლე პელაგია, შვილები ვენერა, ნორა, მერი ოჯახებით იუწყებიან **ვიქტორ დიმიტრის-ძე ლექვინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-II, 8 ს. გამოსვენება 17-II, 4 ს. ხეთაგუროვის ქ. № 19.

ძმა ლაზარე ოჯახით იუწყება **იაკობ ივანეს-ძე დავითაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-II, 8 ს. გამოსვენება 17-II, 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 25.

მეუღლე ანა ოჯახით იუწყება **დომენტი პლატონის-ძე ციტაიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-II, 7 ს. გამოსვენება 17-II, 4 ს. ყაზბეგის ქ. № 4.

მეუღლე მარინე, შვილები ოლია, გაიანე, აგრაფინა, ვალენტინა, თებრო ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ გრიგოლის-ძე უთმელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-II სოფ. კრიხში (ამბროლაურის რაიონი).

მოქალაქე ლილი ნიკოლოზის ასულმა ულენტმა, მცხოვრებმა გორკის ქ. № 30, აღძრა საქმე ზასულიჩის ქ. № 34/36 მცხოვრებ მოქალაქე დიმიტრი გიორგის-ძე ულენტთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე არჩილ ვასილის-ძე ფალავანდიშვილმა, მცხოვრებმა ფიროსმანის ქ. № 18, აღძრა საქმე 9 ძმის ქ. № 26 მცხოვრებ მოქალაქე ეთერ გერასიმეს ასულ გოგსაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე სირინოზ, შვილები მარგარიტა, ვალერიანე, ქეთევან ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე ელისაბედაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-II 8 ს. გამოსვენება 17-II 4 ს. წერეთლის ქ. № 18.

მშობლები ივანე, დარო ოჯახით იუწყებიან **ავთანდილ ივანეს-ძე კვირიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-II, 8 ს. გამოსვენება 17-II, 4 ს. კისისხევის ქ. № 27.

შვილი მამია გოგოლიშვილი ოჯახით იუწყება **ალექსი ასლანის-ძე გოგოლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II სოფ. ბობოყვათში (ქობულეთის რაიონი).

მშობლები ანეტა, დომენტი ოჯახით იუწყებიან **ჯონი დომენტის-ძე ჩიხრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-II, 4 ს. სოფ. ძეგლევში (ონის რაიონი).

დედა ლუბა, მეუღლე გივი კოტრიკაძე, შვილები დურსუნ, ნანი იუწყებიან **ნუნუ მიხეილის ასულ მახარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-II, 8 ს. გამოსვენება 17-II, 4½ ს. გორის ქ. № 4.

შვილები ცისანა და ვახტანგ ოჯახით იუწყებიან **ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ანდრიაშვილი-ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-II, 8 ს. გამოსვენება 17-II, 4 ს. ათარბეგოვის ქ. № 46.

მშობლები ევნიკია, კონსტანტინე, მეუღლე ნინო ოჯახებით იუწყებიან **შალვა კონსტანტინეს-ძე რატიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-II, 8 ს. გამოსვენება 17-II, 4 ს. ძერჟინსკის ქ. № 6.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00332. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.